619
1986




30 619

# დილა

იანვარი
№ 1 1986 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოციალისტური შრომის გმირი,
პოეტი-აკადემიკოსი
ირაკლი აბაშიძე შვილიშვილებთან.

18205

# საახალწლო მიმართვა საბჭოთა ხალხს




## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით

ძვირფასო ამხანაგებო!

რამდენიმე წუთიც და კრემლის კურანტები ახალი წლის დაწყებას გვამცნობენ. ეს ყოველთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი წუთებია. ოდითგანვე ისე დამკვიდრდა, რომ ყოველ ახალ წელს ადამიანები უკავშირებენ ახალ იმედებს, გონებაში აჯამებენ მიმავალი წლის შედეგებს. ამ დღეს ჩვენს ნათესავებსა და ახლობლებს, მეგობრებსა და ამხანაგებს საახალწლო მილოცვებს ვუგზავნით და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ცხოვრებაში.

იტყვიან ხოლმე, შრომა ყველაფრის თავიდათავიაო. სწორედ ასეც გახლავთ ცხოვრებაში. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ მიმავალი, 1985 წელი ჩვენს მეხსიერებაში დაძაბული შრომის, იმედებისა და გაბედული სამომავლო ჩანაფიქრების წლად დარჩება.

ყველას კარგად გვახსოვს, რა სიძნელეებს გადავაწყდით სახალხო მეურნეობაში წლის დამდეგს. საჭირო გახდა მთელი პარტიის, მთელი ხალხის უდიდესი ძალისხმევა, რათა გამოგვესწორებინა საქმე და წელიწადი ეკონომიკაში მთლიანად არცთუ ურიგო შედეგებით დაგვემთავრებინა. განვლილი წელი — ეს არის ყველაფერი, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებდით უკეთესი, უფრო სამართლიანი, სულიერად შინაარსიანი ცხოვრებისათვის, მისი სოციალისტური საწყისებისა და პრინციპების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მიმავალი წელი ჩვენთვის ფრიად საგულისხმო აღმოჩნდა, იგი აღსავსე იყო მოვლენებით, რომლებმაც თითქოსდა დააჩქარეს დროის სრბოლა. ჩვენ ხელი მოვკიდეთ დიდ საქმეებს, ხელი მოვკიდეთ ენერგიულად, აღმავლობით. დღეს უფრო ცხადად ვხედავთ ჩვენს შესაძლებლობებს და უფრო რეალისტურად ვაფასებთ იმას, რასაც მივაღწიეთ, და იმასაც, რასაც სამომავლოდ ვისახავთ. ჩვენ გვინდა, სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური წყობილების უდიდესი პოტენციალი. საქმე ეხება თვისებრივ საზოგადოებრივ გარდაქმნებსა და დინამიკურ, გულდაჯერებულ წინსვლას ცხოვრების ყველა მხარის — იქნება ეს ეკონომიკა, კულტურა, თუ სოციალური სფერო — სრულყოფის გზით.

მაგრამ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მხოლოდ იმ გზის დასაწყისში ვართ, რომელიც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა დასახა. მე ვიტყოდი: რთული მუშაობის, დიდი ცვლილებების დასაწყისში, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ კიდევ უფრო მეტ შეუპოვრობას, თავდადებას, უშიშარ უარყოფას ყველაფრისა, რასაც ყავლი გაუვიდა, უარყოფას აზროვნების ინერციის, ჩვეული, მაგრამ დღეს უსარგებლო სქემებისა და მიდგომისა. ახლა განსაკუთრებით გვჭირდება დიდი საზოგადოებრივი აქტიურობა, შემოქმედებითი შრომა, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, მტკიცე მხარდაჭერა ყოველივე ახლის, მოწინავისა, რასაც დრო წარმოშობს.

სოციალიზმი — და ეს მისი არსია — ხალხის მიერ და ხალხისათვის იქმნება. მასების ცოცხალი შემოქმედებაა მისი ძალის წყარო. სწორედ ასეთი პოზიციებიდან უდგება კომუნისტური პარტია ყველა ჩვენს საქმესა და წამოწყებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა გრძნობენ იმ ეკონომიკური ღონისძიებებისა და პოლიტიკური ნაბიჯების აქტიურ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას, რომლებიც ბოლო ხანს განხორციელდა. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ მხარდაჭერას, გვესმის, რომ იგი ბევრ რამეს გვავალებს. შთაგვაგონებს იმისათვის, რომ კვლავაც გულდაჯერებით ვიაროთ იმ საზოგადოების სრულყოფის გზით, რომელშიც ვცხოვრობთ.

1986 წელი ახალ, მეთორმეტე ხუთწლედს იწყებს. მას ვუკავშირებთ ჩვენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მრავალი საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას.

წლის მთავარი პოლიტიკური მოვლენაა ლენინური პარტიის მომავალი XXVII ყრილობა. ახლა მიმდინარეობს საყრილობო დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვა. კრებებზე და ცენტრალური კომიტეტისათვის გამოგზავნილ წერილებში საბჭოთა ადამიანები პირდაპირ, გულახდილად, დაინტერესებით ლაპარაკობენ საქვეყნო საქმეებზე, იმაზე, თუ რა გვიმლის ხელს, რა გვაქვს გასაკეთებელი, მოგვიწოდებენ, მტკიცედ და ენერგიულად განვაგრძოთ დასახული კურსი. დღეს ჩვენ საგნებს თავიანთ სახელებს ვუწოდებთ: წარმატებას—წარმატებას, ნაკლს—ნაკლს, შეცდომას — შეცდომას. და ეს მიგვაჩნია ყოყოჩობისა და თვითდამშვიდების უებარ წამლად, საიმედო გასაღებად იმისა, რომ ერთსულოვან შემოქმედებითს



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ-ბ.

ვითარებაში ვიაროთ ახალი წარმატებებისაკენ, ახალი მიღწევებისაკენ, ცხოვრების ახალი თვისებისაკენ, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების ახალი მწვერვალებისაკენ.

შარშანდელ წელს ჩვენ ფაშიზმზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავი აღვნიშნეთ. სამამულო ომის წლებში ჩვენი ხალხის გმირობის ხსოვნა მარტო ჩვენს ცნობიერებაში კი არა, ჩვენს გულებშიც ცოცხლობს. და იმ მძიმე ხანის დანაკარგებით გამოწვეული ტკივილი გვავალებს, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა აღარასოდეს დაატყდეს თავს მსოფლიოს ახალი ტრაგედია. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავენ, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა შეინარჩუნონ მშვიდობა, თავიდან აიცილონ კაცობრიობას ბირთვული ომის საფრთხე, არ დაუშვან გამოუსწორებელი.

რთული და მრავალფეროვანია დღევანდელი მსოფლიო. საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკაში იმით ხელმძღვანელობს, რომ ბირთვულ საუკუნეში დედამიწელები ერთ ხომალდზე არიან და მისი რყევა სამხედრო ავანტიურიზმით უაღრესად უპასუხისმგებლო საქმეა. თვით ცხოვრება უარყოფს ჩვენს დროში პოლიტიკურ ქარაფშუტობას. აი ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები შეუპოვრად იღვწიან მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ გააჯანსაღონ საერთაშორისო ურთიერთობა, მიანიჭონ მას ცივილიზებული ხასიათი, როგორც ეს შეჰფერით განათლებული XX საუკუნის ადამიანებს. უნდა ავმაღლდეთ შუღლზე, მთელი მეცადინეობა დავუქვემდებაროთ ურთიერთგაგების, ნდობისა და განიარაღების გზების ძიებას.

დამდეგი წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა. ჩვენ საბჭოთა კავშირში იმის მომხრენი ვართ, რომ ეს მშვიდობის წელი გადაიქცეს მშვიდობიან ათწლეულად, რომ XXI საუკუნეში კაცობრიობამ მშვიდობის, ნდობისა და თანამშრომლობის პირობებში შეაბიჯოს.

ძვირფასო ამხანაგებო! სოციალიზმის გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ბედნიერება უწოდა იმას, რომ **„დაგვეწყო** საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, **დაგვეწყო** ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა". ეს ძნელი ბედნიერება იყო და არის. და ვამაყობთ, რომ ჩვენი ისტორია, ცხოვრება და ბრძოლა მთელი კაცობრიობის ისტორიის, ცხოვრების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. ვამაყობთ იმით, რომ ახალი საზოგადოებისაკენ უვალი გზის პირველგამკვალავები გავხდით, რომ ამ გზით ღირსეულად და გულდაჯერებით მივაბიჯებთ!

ვხვდებით რა ახალ წელს, გულითადად ვულოცავთ ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს, სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ჩვენ ვულოცავთ მეგობარი სახელმწიფოების ხალხებს, ჩვენს კლასობრივ ამხანაგებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

მშვიდობას, ბედნიერებასა და აყვავებას ვუსურვებთ დედამიწის ყველა ხალხს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ და გულითადად ვულოცავ ყველა საბჭოთა ადამიანს, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ერთსულოვან ოჯახს დამდეგ ახალ წელს!

ახალ წელს ვულოცავთ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, ომისა და შრომის ვეტერანებს!

ახალ წელს ვულოცავთ საბჭოთა მეომრებს, რომლებიც საიმედოდ იცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას, დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს!

ახალ წელს ვულოცავთ ყველას, ვინც ამ დროს დგას შრომითს და საბრძოლო ვახტზე, ვინც მშობელი მიწიდან შორს მუშაობს!

მოდით, ვუსურვოთ ერთმანეთს, რომ ახალ წელს აგვიხდეს ოცნებები, რომ ახალი წელი ახალი წარმატებების, შემოქმედებითი შრომის, მტკიცე მშვიდობისა და უკეთესობისაკენ ცვლილებების წელი გამხდარიყოს. დაე გულუხვად დააბერტყოს მან სიხარულისა და ბედნიერების კალთა ყოველ სახლს, ყოველ ოჯახს!

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო!

# საახალწლო მილოცვები

მრავალ ახალ წელს!

ჩვენი საყვარელი ჟურნალის „დროშის" მკითხველებს გულით და სულით ვულოცავ ახალ წელს. გულით და სულით ვუსურვებ დიდ, დიდ წარმატებებს ყველას, ყველას, ყველას!

მშვიდობა და ბედნიერება ჩვენს საყვარელ ქვეყანას, ჩვენს საოცნებო სამშობლოს 1986 და კიდევ მრავალ, მრავალ წელს!

მშვიდობა და ბედნიერება თქვენს ოჯახებს!

1985 XII.

მოვიდა ახალი წელი ჭაღებითა და ნაძვის ხეებით განათებული. ღიმილიანი თვალები შემოაშუქა და შემობრძანდა. მთაწმინდის კალთებზე თეთრი, გაქათქათებული კვალი დატოვა. ლენინის მოედანზე ჩამოივაკა, რომ აქედან — თბილისის შუაგულიდან, ფეხბედნიერმა გააგრძელოს გზა.

სიხარულით შეხვდა ხვავრიელად შემოსულ სინათლეს საქართველოს მფეთქავი გული, ცოცხალი არტერია, საიდანაც იწყება ყოველი ახალი დღე.

თორმეტჯერ ჩამორეკეს კრემლის ზარებმა და ცა უამრავმა ცისარტყელამ გადახაზა. ჟრჟოლის მომგვრელ ზარების გუგუნ-გუგუნში, ფარტენა ფიფქებით ჩამობარდნილი, მობრძანდა ახალი წელი! შარაგზებსა და შუკებს გამოჰყვა: ველ-მინდვრები გადმოიარა. ბაღებსა და ზვრებს გადახედა. კაცის ნაამაგარს სიამით გადაავლო თვალი.

მოზეიმე ხმა გადადის ქალაქიდან ქალაქში, დაბიდან დაბაში, სოფლიდან სოფელში. შუქი და სიხარული შეაქვს ყველგან, სადაც ელიან.

განათებულია ფანჯრები. მხიარული მუსიკის ჰანგები იფრქვევა სამშობლოს ყველა კუთხეში.

დადის ახლა იგი — ახალი, 1986 წელი, კარიდან კარად, მთასა და ბარში, ოჯახიდან ოჯახში. სუფთა გულით ვეგებებით და საყვარელი პოეტის სიტყვებით ვილოცებით:

ფუძის ანგელოსო, ჰერის ანგელოსო,
კალთა დაგელოცოს, ფრთები
დაგელოცოს.
დიდი მყუდროება, დიდი იმედები
ისევ გაიმეტე, როგორც იმეტებდი.
ხოლო მწუხარებას, შიშს თუ
სნეულებას,
შენთან ნუ ექნება ნურა წვეულება.
მზე, მზე ჩამობარდნე რძიან ბუტკოებად.
მზე შინა და გარეთ, მზე და
მყუდროება!

ფეხბედნიერი და ხვავ-ბარაქიანი იყო გასული წელი. პატიოსნად, გულითადი მონდომებითა და ერთგულებით იშრომა ჩვენმა ხალხმა. დიდი ოფლი დაიღვარა. ასაშენებელი აშენდა. დასათესი დაითესა და მოსამკელი მოიმკა. სარეველა ბალახმაც წამოჰყო აქა-იქ თავი და ისიც დროულად ამოვძირკვეთ.

შრომისა და ოფლისღვრისა არ ეშინია ხალხს. სხვა მხრივ იყოს მშვიდობა, თორემ უშრომლად და ოფლისდაუღვრელად რომ არაფერია ამ ქვეყანაზე, ეს ყველამ კარგად ვიცით.

მაგრამ წელს, ალბათ, განსაკუთრებული შრომა და მეცადინეობა მოგვიწევს იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე ფეხზე დადგეს მშვიდობის საქმე. ომის ჩრდილი აღარ გვახსენებდეს თავს დაზგებთან დგომის დროს, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ მაღაროებში, პლანტაციებსა და ბაღებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, სახელოსნოებსა თუ საწერ მაგიდებთან, იქ, სადაც ცოცხალი აზრი ჩნდება და მშრომელი კაცი ალალ ოფლსა ღვრის.

სწამს ხალხს თავისი ქვეყნის ძალა და ძლიერება. ელოლიავება და უფრთხილდება იმას, რაც საერთო ჯაფითაა მიღწეული.

ეს წელი ხომ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელია — სათავე და დასაწყისი ყველა დიდი სიკეთისა. ამ წელს ხომ მშობლიური კომუნისტური პარტია თავის ოცდამეშვიდე ყრილობას ეგებება მხრებგამართული, იმედიანი, ახალი ძალებით სავსე. დასახულია გრანდიოზული გეგმები. სისხლსა და ხორცშია გამჯდარი ის, რაც დღე-დღეზეა გასაკეთებელი და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უცილობელი პირობაა.

არა, იოლი არაა ეს გზა და დიახაც ხელდაკაპიწებული შრომა მოგველის. პატიოსანი, სახელდიდებით დამშვენებული შრომით ყოველთვის გვიამაყია და კვლავაც ვიამაყებთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა მთელი პარტიულ-სამეურნეო აქტივის სახელით ამიტომ განუცხადა, რომ, **„საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს, ცხოვრებასა და შრომაში ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ლენინური პარტიის XXVII ყრილობას...“**

სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

გილოცავთ შენ, მხვნელო და მთესველო, პაპანაქება სიცხესა და ავდარში მიწას რომ ჩაჰკირკიტებ და გუთნის ტარს არ უშვებ ხელს. შენ გილოცავთ, ფოლადის მდნობელო და რკინის მკვერავო, გავარვარებულ ლითონთან სახე რომ გერუჯება. გლოცავთ და მარჯვენას გიქებთ მაღაროელო, კლდის გულს რომ ბურღავ და შავი ოქროს ხვავი ამოგაქვს მიწის გულიდან. გილოცავთ მეცნიერსა და მხატვრული სიტყვის ოსტატს. მართლად რომ ამბობთ თქვენ თქვენს სათქმელს.

მაშ, გამარჯობა მშვიდობიანო და იმედიანო ახალო წელო!

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები:

**გულნარა გოგიტიძე — ქობულეთის რაიონი, სოფელი ხუცუბანი,**

**შალვა კემულარია — ხობის რაიონი, სოფელი ხიბულა,**

**ნანული მელივა — ლანჩხუთის რაიონი, სოფელი მამათი,**

**ნელი ნავროზაშვილი — ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის საწარმოო გაერთიანება,**

**პავლე ნანიევი — ჯავის რაიონი,**

**ნორა საკანია — გუდაუთის რაიონი.**

**გრიგოლ ტყემალაძე — „ჭიათურმარგანეცი“,**

**ეთერ ცირამუა — ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი ხაბუმე.**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (589), იანვარი, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა


## ნ ო მ ე რ შ ი ა:


საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს — მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით
საახალწლო მილოცვები
საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები: ნელი გელდიაშვილი და რევაზ ქემოკლიძე
მელიტონ ქანთარია — მარად სამახსოვრო დღე
ნაზი ჭედია — პოეტი (ლექსი)
გიორგი ნატროშვილი — რომანტიკული სულით
ოთარ ჭელიძე — ლექსები
ლევან დოლიძე — გენერალი ანატოლი კამკამიძე
კონსტანტინე ლომია — გახსენება (პოემა)
18 დეკემბერი, 1985 წელი
ვახტანგ გოილაძე — ქალაქი ანტიოქია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“
ივან სლავოვი — მოულოდნელი აზრები
მამია ახობაძე — მშობლიური წიგნის მოამაგე
ნაზი ელიაშვილი — ბუნების ტრფიალი
ვიქტორ ივანენკო — ბედი თვითმფრინავისა
უშანგი რიჟინაშვილი — ყიყლიყო (მოთხრობა)
ელისაბედ გარსევანიშვილი — სამშობლოს ერთგული მსახური
შალვა ქირია — რიონისპირელი ფალავანი



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1986 წ.



**მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი**

**ხუტა ბერულავა**

**ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:**

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი). ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე). ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი). ლადო სულაბერიძე. ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე. გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები

# ნელი გელდიაშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გელდიაშვილის ცხოვრების მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა შეუძლია სწორი, ნათელი მიზნის დასახვას და მისი განხორციელებისათვის ფიზიკური და სულიერი ენერგიის მაქსიმალურ გახარჯვას.

რვა წლის წინათ, როცა ნელი გელდიაშვილმა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს სუსტი, მორიდებული ქალიშვილი რამდენიმე წლის შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი ფეიქარი გახდებოდა.

— ვერც მე ვიფიქრებდი ამას, — გულახდილად ამბობს ნელი, — პირიქით, როცა პირველად შევედი უზარმაზარ სართავ საამქროში, თავი უსუსურად ვიგრძენი ამხელა მანქანებს შორის. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ადამიანები კი არ მართავდნენ ამ მანქანებს, არამედ მანქანების ნება-სურვილით მოძრაობდნენ ადამიანები...

როგორც ჩანს, დედას — მოწინავე მრთველს ელენე გელდიაშვილს იმთავითვე შეუყვარებია ქალიშვილისათვის შრომა, შეუსწავლებია ფეიქრული ანბანი... დედა რომ მიხსნიდა ამ საქმის საიდუმლოს, ისე ვერავინ ამიხსნიდაო, ამბობს ნელი.

არანაკლებ შთამბეჭდავი და სამაგალითო გამომდგარა მისთვის საქვეყნოდ ცნობილი სახელი პირველი სართავი ფაბრიკის მრთველის მარინე ალბუთაშვილისა, რომელმაც იკისრა და კიდევაც შეასრულა ორი ხუთწლედის დავალება მეათე ხუთწლედში.

გაოცებულა, სართავ მანქანებს შორის ჯარასავით მოტრიალე მარინე რომ უნახავს. აი, სწორედ მაშინ უფიქრია, დღეში ორი დღის ნორმა მეც უნდა შევასრულოო.

მერე ამ გადაწყვეტილებას მოჰყოლია დაუცხრომელი ძიება მოწინავე მეთოდების ასათვისებლად, მათი შესრულება დროის უმცირეს მონაკვეთში, შრომის ორგანიზაციის მაღალი დონის მიღწევა და კიდევ სხვა მრავალი პირობა, რამაც გაამბედვინა, ერთ მშვენიერ დღეს საამქროს უფროსისათვის ეთქვა, ორმაგი ზონა მომეცითო.

ნორმით ერთი მრთველი 900 თითისტარს უნდა ემსახურებოდეს, ნელიმ კი 1900 თითისტარი მოითხოვა. დასთანხმდნენ.

— ეს იყო 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, როდესაც მე ორი ხუთწლედის შესრულება ვივალდებულე, 1985 წლის 2 დეკემბერს კი პირობა შევასრულე, — ხმადაბლა, მორიდებით ამბობს ნელი, — თურმე შეუძლებელი არაფერი ყოფილა. მთავარია, ადამიანმა მოინდომოს და მიზნის მისაღწევად არაფერი დაიშუროს.

მიმდინარე ხუთწლედი ნელისათვის ერთობ ხელხვავიანი აღმოჩნდა: ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში; მიიღეს პარტიაში; აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრად, ამასწინათ ქალაქის კომუნისტებმა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად წარგზავნეს.

თავდადებულ შრომას თანა სდევს სახელი და დიდება.

**ალექსანდრე ტაბატაძე**



# რევაზ ქემოკლიძე

1960 წელი. როგორც კი ქ. თბილისის პირველი რკინიგზის საშუალო სკოლა დაამთავრა, რევაზ ქემოკლიძე კარის მეზობელმა ნიკოლოზ მაისურაძემ ცალკე გაიხმო:

— კარგი ბიჭი ხარ, მოდი ჩვენთან ქარხანაში, შენც კარგად იცი, რომ ამ სახეხი ჩარხების ქარხანამ მაქცია კაცად. სანამ ჯანი მოგდევს, ეგებ ცხოვრების წრთობაც ჩვენთან მიგეღო.

რევაზის მამას იონას, გარდა იმისა, რომ მისი ძველი მეზობელი იყო, ნიკოლოზთან კარგი მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა. ჭკუაში დაუჯდა რევაზს რჩევა და მაშინვე დაეთანხმა. მეორე დღეს მამასთან ერთად ეწვია ქარხანას.

იური მუსტაფაევის შეგირდი რევაზ ქემოკლიძე სამ თვეში დაეუფლა ხელობას და მეორე თანრიგის ხარატად დაიწყო მუშაობა. მალე ისე დახელოვნდა, რომ უმაღლესი, მეექვსე თანრიგის ხარატი გახდა. ეს კი იმას ნიშნავდა, ამიერიდან რთული დეტალების დამზადება მას დაევალებოდა.

1976 წლამდე სახეხ ჩარხებს აკეთებდნენ, მერე სახარატო ჩარხების გამოშვებაზე გადავიდნენ. იმის შემდეგ ამზადებს პროგრამული მართვის ჩარხის ნაწილებს: კბილანებს, ლილვებს... ეს ის მთავარი ნაწილებია, მოძრაობაში რომ მოჰყავს ჩარხი. ძალზე დიდ სიზუსტესა და დაკვირვებას მოითხოვს. ერთი თვალი რომ გადაგიცდეს, მორჩა, ამაოდ ჩაივლის მთელი შრომა. თუმცა სამუშაო რთულია, რევაზისათვის ეს ჩვეულებრივ საქმედ ქცეულა და იგი ყოველდღიურ გეგმას 140-150%-ით ასრულებს. აგერ უკვე ოცდამეექვსე წელიწადია, ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, გეგმა არ გაენაღდებინოს, ან მისი გამოშვებული პროდუქცია უხარისხო გამომდგარიყოს. ეს არც მოხდება, რადგანაც ოქროს ხელი აქვს რევაზ ქემოკლიძეს.

სპეციალურ უბანზე, სადაც რევაზი მუშაობს, თორმეტი კაცია, აქედან ხუთი მისი ნამოწაფარი: გოჩა ჭინჭარაული, გია შარტავა, თამაზ კუმარიდოვი, ზაზა მეტრეველი, ემზარ რამინაშვილი. ხუთივემ გაუმართლა. ეს უბანი ისეთ ნაწილებს ამზადებს, რომ ცუღლუტი კაცი აქ ვერ იმუშავებს. ქარხნის ეზოში შეხვალ თუ არა, ამას მაშინვე გაგრძნობინებს ალაყაფის კარების მოპირდაპირე შენობის კედელზე დიდი ასოებით გამოყვანილი წარწერა: „ჩვენი ქარხანა ჩვენი სიამაყეა!“

ამჟამად ქარხნის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. რევაზ ქემოკლიძე და მისი მეგობრები ჯერ ისევ ძველ შენობაში არიან, მაგრამ მათ უბანზე ისეთი წესრიგია, რომ არც კი იგრძნობა, თუ აქედან მალე გადავლენ.

თვალნათლივ გრძნობთ, რომ აქ ყველაფერი წესრიგიდან და შრომის კულტურიდან იწყება. ამ მაღალი კულტურითა და წესრიგით მიაღწია რევაზ ქემოკლიძემ იმას, რომ ორჯერ გახდა საკავშირო სამინისტროს მიერ დაწესებული საპატიო ჯილდოს მფლობელი, როგორც სახარატო საქმის საუკეთესო სპეციალისტი. იგი არაერთხელ იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1985 წლის თებერვლიდან კი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და ღირსეულადაც ამართლებს ხალხის ნდობას. კომუნისტი ხარატი მეთერთმეტე ხუთწლედის წინაშეც ვალმოხდილია. მან ხომ ოთხ წელიწადში შეასრულა ხუთწლედის გეგმა. მის მკერდს ამშვენებს „საპატიო ნიშნის“ ორდენი და მედალი „შრომითი მამაცობისათვის“; გასულ წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აღინიშნა მისი ნაყოფიერი მუშაობა... სხვადასხვა დროს იყო საქარხნო, რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტების წევრი, ახლა კი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატიც გახლავთ.

ყველაფერ ამას რომ ეცნობი, გიკვირს კიდეც, როგორ ასწრებს ამდენ საქმეს რევაზ ქემოკლიძე. ასეა, როცა კაცმა იცის შრომის ყადრი და დროის ფასი, როცა სანიმუშო დისციპლინა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების კანონად იქცევა და ამ კანონს შინ თუ გარეთ გულმოდგინედ იცავს.

**ვახტანგ გორგანელი**

# ჩემი სამახსოვრო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მელიტონ ქანთარია,**
საბჭოთა კავშირის გმირი

ჩვენი ნაწილი გერმანიაში იდგა — ბერლინის შემოგარენში. სამხედრო სამსახური წესდების შესაბამისად გრძელდებოდა. თითქოს ოთხწლიანი შავბნელი კოშმარი — ომი, უკან რომ მოვიტოვეთ, არც კი ყოფილიყოს. ძვირფას საფლავებს, ოცი მილიონი სიცოცხლე რომ მიიბარეს, თითქოს შეშრობოდეთ სისხლისა და ცრემლის კვალი.

ჯარისკაცური ცხოვრება მშვიდობიან პირობებშიც ჩვეულებრივი განრიგით მიმდინარეობდა. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, ტაქტიკური სწავლება, ფიზიკური ვარჯიში და მომქანცველი სამწყობრო ლაშქრობები არ გვაკლდა. ხშირად ვიხსენებდით აწ უკვე მოგონებათა სფეროში გარდასულ დღეთა ამბებს და გვეჩვენებოდა, თითქოს ათასი წლის წინათ მომხდარიყოს ყველაფერი ის, რაც ახლო წარსულში გადაგვხდა.

— იმ დღეს... — წამოიძახებდა ალექსი ბერესტი და იწყებდა თხრობას.

— არა, გახსოვს... — ახლა მიხეილ ეგოროვი მოხსნიდა თავს გუდას, მოჰყვებოდა ცისა და ბარის ამბებს.

ნელა, თითქოს ზეთის მდინარეაო, ძალზე ნელა მიიზლაზნებოდა დრო.

ნაწილმა შევსება მიიღო. ამჟამად იგი სრულად დაკომპლექტდა პირადი შემადგენლობითა და ტექნიკით. მოსვენებას არ ვაძლევდით სამშობლოდან აქ ჩამოსულ ჯარისკაცებს, კითხვას კითხვაზე ვაყრიდით. გვაინტერესებდა, რა ხდებოდა იქ, საბჭოთა კავშირში, მოიშუშა თუ არა ქვეყანამ ომის ჭრილობები, როგორ ცხოვრობს ხალხი?

ამ დროისათვის უკვე მომწიფდა ჩემი გადაწყვეტილება, რომელსაც დიდი ხანია გულით ვატარებდი და ველოლიავებოდი: უნდა გავხდე პარტიის წევრი, ლენინის პარტიის წევრი.

ვფიქრობდი, ვფიქრობდი განუწყვეტლივ, ვარ კი ღირსი, რომ ვიყო იმ პარტიის რიგებში, რომელიც დიდმა ლენინმა დააარსა?

ჩემს მეხსიერებაში ხშირად ამოტივტივდებოდა ხოლმე ლეგენდარული ბოლშევიკების სახელები: სვერდლოვი, კალინინი, კიროვი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი... მერე კოჰორტა ლენინელთა: სტალინი, ვოროშილოვი, ჟდანოვი; მხედართმთავრებისა — ჟუკოვი, ვასილევსკი, როკოსოვსკი და მთელი პლეადა მათი თანამოსაგრეებისა. მტკიცე ფოლადისაგან ჩამოსხმული ლეგიონების ამ არმიაში მეც უნდა მიმიღონ! მერე თითქოს საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რაო, მელიტონ, ხომ არ დაფრთხი? როცა რაიხსტაგის სახურავზე ტყვიებისა და ნაღმების ქარცეცხლში სამშობლოს დროშა მიგქონდა მაღლა და მაღლა, მაშინ არ იცოდი, რა იყო შიში, ახლა რა ღმერთი გიწყრება? პარტიულობა წოდება, რანგი ან ხარისხი ხომ არ არის? ეს ხომ შეგნებისა და რწმენის მანდატია.

მგონი რაღაც მეშლება. იგი წოდებაზე უფრო, ხარისხზე უფრო, თანამდებობაზე უფრო მაღალი და წმინდა ცნებაა, რომელსაც ასე მგონია. მხოლოდ და მხოლოდ ფოლადივით გამოწრთობილნი და ღირსეულნი უნდა ეზიარონ.

მაგრამ ფიქრსა და განსჯაში ჩაიარა რამდენიმე დღე-ღამემ. ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტე და განცხადებით მივადექი პარტორგს. მან ყურადღებით მომისმინა, დამაიმედა და მითხრა, კრებაზე გამოგიძახებთო.

მე და ჩემი განუყრელი ძმადნაფიცი მიხეილ ეგოროვი პარტიის პროგრამისა და წესდების საფუძვლიან შესწავლას შევუდექით. მიხეილი ყოველი სიტყვის მნიშვნელობას გულმოდგინედ მიხსნიდა. მეც ბეჯითი მოწაფესავით ვიმეორებდი და ვიმახსოვრებდი ყველა პუნქტსა თუ დებულებას, რომლებიც იმ პატარა წიგნაკში ეწერა.

— სამამულო ომზე რომ გკითხონ, ხომ არ დაიბნევი?

— არა, მიშა, 22 ივნისიდან 9 მაისამდე ვიბრძოდი და რა დამაბნევს, ყველაფერი ხუთი თითივით მახსოვს.

— პარტიის ისტორია?

— წაკითხული მაქვს, ჯარში წასვლამდე.

— ლენინის ბიოგრაფია?

— ვიცი, რა თქმა უნდა, ვიცი.

— გაზეთები, გაზეთებიც უნდა იკითხო, — მაქეზებს ეგოროვი, — თორემ იქ ახირებული ხალხია. ვინ იცის, რა მოუვათ თავში?!

მაისის პირველი ნახევარი იყო. არ მახსოვს, ბერლინის ცაზე მზე ანათებდა, თუ ღრუბლების ქულები ეკიდა, საკმაოდ კი თბილოდა. პარტიულ კრებაზე დღის წესრიგის ბოლო საკითხია საკ. კპ (ბ) რიგებში წევრობის კანდიდატად მ. ქანთარიას მიღება. გულის ცემა მაქსიმუმს აღწევს.

რა გემართება, გამაგრდი-მეთქი, შემოვუძახე თავს.

პარტორგმა აუჩქარებლად, ტკეპნით წაიკითხა ჩემი განცხადება და ანკეტა. მისი ყოველი სიტყვა თითქოს ლითონის გუგუნს გამოსცემდა. რეკომენდაციები ნაწილის მეთაურმა და გაზეთის კორესპონდენტმა მომცეს. შევყურებ ესოდენ ნაცნობ სახეებს და მიკვირს, ეს მხიარული ბიჭები ახლა ასე რატომ გამოიყურებიან. გულში უსიამოვნო გრძნობამ გამკენწლა. კრების თავმჯდომარემ შეკრებილთ თვალი მოავლო და მშრალად წარმოთქვა, შეკითხვა ხომ არ გექნებათო.

— ვიცნობთ, ვიცნობთ! — დაირხა ხმები.

— მაქვს შეკითხვა. — ფეხზე წამოდგა მთისტოლა ალექსეი ბერესტი. — რაიხსტაგის იერიშის წინ რატომ არ შეიტანა განცხადება ამხანაგმა ქანთარიამ პარტიაში მიღების თაობაზე?

შარისთავი და ხრიკიანი კაცია ჩემი მეგობარი. არ მესმის სწორედ, რისთვის დასჭირდა. ასეთი „მუხანათური" შეკითხვა მოეცა ჩემთვის. ენა დამებორკა. გაჭირვებისაგან მიხეილ ეგოროვმა დამიხსნა.

— სერჟანტმა ქანთარიამ, — განმარტა მან, — 29 აპრილს დაწერა განცხადება. იგი რუსულში მოიკოჭლებს და მე დავეხმარე. სამეფო მოედანზე გაცხარებული ბრძოლების დროს მის პლანშეტს ნაღმის ნამსხვრევები მოხვდა. ნაკუწებად იქცა პლანშეტიც და განცხადებაც. კიდევ კარგი, თვითონ გადარჩა ცოცხალი. მერე დროც აღარ იყო, ხელმეორედ რომ დაგვეწერა იგი. 30 აპრილს უკვე რაიხსტაგის სახურავზე ვიბრძოდით...

ეს ხომ სრული სიმართლე გახლდათ, მაგრამ რატომ თავად არ გამახსენდა?! სინანულით ჩავქინდრე თავი, გულში კი მადლობას ვეუბნებოდი მიშას, იგი რომ არა, ხომ ჩავფლავდებოდი!

— როგორ აფასებს ამხანაგი ქანთარია ხიროსიმას და ნაგასაკის ტრაგედიას?

თავი ავწიე. სიანოვის ხმა შევიცანი და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. თანამებრძოლმა მეტისმეტად უჩვეულო შეკითხვა დამისვა. იმ ხანებში ამ ორი ქალაქის სახელი ყველას პირზე ეკერა. ზოგი აქებდა და ადიდებდა ჩვენი მოკავშირე ამერიკის ძლევამოსილებას. ზოგიც ამ აქტს ბარბაროსობას უწოდებდა. რა პასუხი უნდა გამეცა? საშველი აღარ არის. იქნებ ჩავფლავდი და ეგაა.

— ორი მშვიდობიანი ქალაქის მიწასთან გასწორება, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს კარგი საქმე. — არადამაჯერებლად ვთქვი და ყოყმანით დავუმატე. — მით უფრო, რომ ეს სამხედრო აუცილებლობით არ ყოფილა გამოწვეული.

— სწორია, მართალია! — ამ შეძახილებმა მხნეობა შემმატეს, წელში გავიმართე.

ერთი ახალგაზრდა ოფიცერი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამსახურის გასავლელად პირდაპირ ჩვენს ნაწილში ჩამოვიდა. სულ ორი დღეა, რაც აქაა და თითქმის არავის იცნობს. არ ვიცით, ვინაა და რას წარმოადგენს. ახლა იმან ასწია ხელი. შუბლი ოფლით დამეცვარა.

— გუშინ საღამოს მოსკოვიდან რადიომ ინფორმაცია გადმოსცა, — საოცრად გამყინავი ხმით წამოიწყო ახალბედა ლეიტენანტმა, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ვინმე ქანთარიას. რა ნათესავია იგი თქვენი?

უეცრად თავბრუ დამესხა. ამის შესახებ მე ნამდვილად არაფერი ვიცოდი. ნეტავი ვინ არის ის ბედნიერი? პოლკოვნიკი ივანე ქანთარია, პოდპოლკოვნიკი ენუქი ქანთარია, თუ უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია? ბურანში ჩავიძირე.

— მე გახლავართ! — ანგარიშმიუცემლად, ინსტინქტურად აღმომხდა ეს ორი სიტყვა და თვალები ამიჭრელდა.

უეცრად დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ცნობამ თითქოს მთელი კრება მოაჯადოვა.

ამ დროს დარბაზში შემოდის ნაწილის მეთაური. მას ხელში გაზეთების დასტა უჭირავს, სახე კი გაბადრული აქვს. ყურებში ჩამესმის ნაცნობი, საზეიმო დაფდაფივით მგრგვინავი ხმა:

— მართალია. აი 9 მაისის „პრავდა“, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა ეგოროვს, ქანთარიას, ზინჩენკოს, სამსონოვს, ნეუსტროევს და დავიდოვს. ეს ყველაზე უტყუარი რეკომენდაციაა.

ატყდა ტაშისცემა, მაგრამ რა ატყდა, თითქოს ჭერი ჩამოინგრა. მე სკამზე დავეშვი. ამ სასიხარულო ცნობამ კინაღამ გრძნობა დამაკარგვინა. ჭეშმარიტად ამოდენა სიხარულს ვერ იტევდა გული.

— მიღებულია ერთხმად! — დასჭექა პარტორგმა და კრება დახურულად გამოაცხადა.

ძნელია, სიტყვებით გადმოიცეს, რა მოხდა შემდეგ. მთელი ნაწილის შემადგენლობა მოვიდა მოსალოცავად.

მარადჟამს სამახსოვრო წუთები დამიდგა. ისეთი დიადი გრძნობა და განცდა დამეუფლა, ლამის თავი გოლიათად წარმოვიდგინე. შეუძლებელია, ამგვარი გრძნობები დავიწყებას მიეცეს.

ეს მშვენიერი დღე ჩემს ცხოვრებაში ერთბაშად ორი უდიდესი მოვლენით აღინიშნა: საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მომენიჭა და პარტიის წევრობის კანდიდატად მიმიღეს!

საღამოს ჯარისკაცური სუფრა გავშალეთ. ბევრი კეთილი სიტყვა და სადღეგრძელო ითქვა. ახალი გმირები ღვინით კი არა, ბედნიერებით ვიყავით მთვრალები.

ამ ცნობამ კიდით კიდემდე შემოიარა ჩემი სამშობლო, ვგონებ, მთელი პლანეტაც. უეჭველად ჯვარშიც მიაღწია მან და უსაზღვროდ აღაფრთოვანა ჩვენი თანამემამულენი.

ერთ დღეს აუწერელი სიხარული ეწვია მამაჩემის, ვარლამ ქანთარიას ოჯახს.

საბჭოთა კავშირის გმირი ვ. შატილოვი ჩემს მშობლებს სწერდა: „პატივცემულო ვარლამ ნიკოლოზის ძევ და ლიდა პავლეს ასულო! თქვენი შვილი მელიტონ ქანთარია არის ჩვენს ნაწილში, ბერლინისათვის ბრძოლაში მან გამოიჩინა მამაცობა და ვაჟკაცობა, უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი სახელი“. შემდეგ იგი მადლობას უხდიდა ჩემს მშობლებს.

შინიდან მიღებული იმდროინდელი ბარათების მიხედვით სრულყოფილად აღვადგინე ჯვარში დატრიალებული ამბების სურათი:

როგორც კი ჩვენი საყვარელი გაზეთი „კომუნისტი“ მიიღეს ჯვარში, ერთბაშად მთელი სოფელი ფეხზე დადგა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტბიუროს მდივანი, სოფსაბჭოს თავკაცი, სკოლის დირექტორი, მთავარი აგრონომი, წალენჯიხის რაიკომის წარმომადგენლები, ძველი ბოლშევიკები ერთად გაეშურნენ ვარლამ ქანთარიას ოჯახში ამ ცნობის მახარობლად, მაგრამ იქ უკვე იცოდნენ ამის შესახებ.

შეიკრიბა ჯვარის მთელი მოსახლეობა. ზოგს რა მიჰქონდა ოჯახში, ზოგს კიდევ რა. ცხადია, გაჭირვების წლები იყო და ყველას დაპურება ერთ ოჯახს გაუჭირდებოდა. სოფელმა დახმარების ხელი გაუწოდა თავის მკვიდრს.

დატრიალდნენ ვარლამი და ლიდა, ბიძები და ბიცოლები, მამიდები და დეიდები, ერთი სიტყვით, ეზო დაემსგავსა საქორწილო სეფას. საღამოს გაიშალა სუფრა. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. წაიკითხეს კანდიდ ჩარკვიანისა და გიორგი სტურუას დეპეშებიც. კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამადად აირჩიეს და მასაც არ უღალატია ქართული ტრადიციისათვის.

მომდევნო დღეებში ნიაღვარივით მიდიოდა დეპეშები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან. რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაგზავნილი მილოცვის ადრესიც მივიდა. როგორც ჩანს, ელვასავით სწრაფად გავრცელდა ეს ამბავი ჩემს სამშობლოში. რადიოინფორმაციები, გაზეთები და ზეპირსიტყვიერი მოთხრობები ლეგენდის საბურველში ხვევდა ისტორიულ ფაქტებს. მაგრამ ცხადი იყო ერთადერთი ჭეშმარიტება — ქართული მიწის მკვიდრმა რუსი ერის შვილთან ერთად წითელი დროშა, გამარჯვების სიმბოლო, დამარცხებული ბერლინის თავზე ააფრიალა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი გამოკვლევები, წიგნები, მემუარები, ისტორიული თხზულებანი ამ გმირულ თემაზე, ამიტომაც, ბუნებრივია, ბევრი რამ ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი გახლდათ.



საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილ მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ჩვენი სახელგანთქმული ნაწილის მეთაური, ნათქვამია:

„1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა მეომრები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ გერმანიის რაიხსტაგის ასაღებად. მელიტონ ქანთარიამ და მისმა მეგობარმა, რუსი ხალხის შვილმა მიხეილ ეგოროვმა საბრძოლო დავალება მიიღეს, რომ პირველი შეჭრილიყვნენ რაიხსტაგში და წითელი დროშა აეფრიალებინათ. მელიტონ ქანთარიამ, როგორც ქართველი ხალხის ერთგულმა შვილმა, ღირსეულად შეასრულა ეს საპატიო საბრძოლო ამოცანა. ამ ორი გმირი კომკავშირელის მიერ რაიხსტაგზე აღმართულ წითელ დროშას ჩვენმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა „გამარჯვების დროშა“ უწოდა. მელიტონ ქანთარია დაჯილდოებულია საბრძოლო წითელი დროშის ორი ორდენით და მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ვამაყობთ ჩვენი მებრძოლი მეგობრით — ქართველი ხალხის შვილით, ქართველი ხალხისა, რომლის მეომრებიც შეუდრეკლად, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ... მადლობა თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ასეთი მამაცი გამარჯვებული მეომრების აღზრდისათვის. მიიღეთ ჩემი მხურვალე სალამი“.

ეს წერილიც გამოქვეყნდა საქართველოს ცენტრალურ გაზეთებში და უდიდესი სიხარული მოუტანა ჩემს მშობლებს, ნათესავებს და საერთოდ ქართველ ხალხს.

იმ სამახსოვრო დღის შემდეგ ორმოცი გრძელი წელიწადი გავიდა, მაგრამ იმ გმირულ დღეთა შარავანდედი დავიწყების ფერფლით არ იბინდება. პირიქით, მის დიდებას განსაკუთრებული სიკაშკაშე ემატება, რაც ახლანდელი და მომავალი თაობების თვალში უფრო და უფრო მეტ ბრწყინვალებასა და სიდიადეს იძენს.



# გვირაბმშენებელთა დელეგატი

ფოტო გიორგი შარაშენიძისა

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, „თბილისგვირაბმშენის“ კომუნისტთა წინამძღოლი, პარტიის ოქტომბრის რაიკომის ბიუროს წევრი ბიძინა სონღულაშვილი.



▲ პარტკაბინეტის გამგე სერგი გალუსტოვი, პარტკომის მდივნის მოადგილე იოსებ ყვანია და გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იუზა ნადირაძე (მარცხნიდან მარჯვნივ) ამუშავებენ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელების ღონისძიებებს.

▼ ბ. სონღულაშვილი მეტროპოლიტენის გლდანის ხაზის № 20 უბნის გვირაბგამყვანებთან ერთად.



▼ № 1 სამშენებლო სამმართველოს ცვლის უფროსი გიული აზარაშვილი, ბიძინა სონღულაშვილი და მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ქობალია (მარცხნიდან მარჯვნივ) განიხილავენ ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიმდინარეობას.



# ყველაფრისათვის დიდი მადლობა

ანდრეი დემენტიევი,
პოეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ჟურნალ „იუნოსტის“ მთავარი რედაქტორი.

საქართველოდან ამ ცოტა ხნის წინათ დავბრუნდი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც მგონია, რომ ერთმანეთს არ დავცილებივართ. ჩემი ქართველი მეგობარი მწერლებისა თუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გულის სითბო „საშუალებას არ მაძლევს“, თავი საქართველოდან შორს წარმოვიდგინო.

ჩემი ბოლო სტუმრობის დროს შევხვდი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ საშუალება მომეცა, მესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯუმბერ პატიაშვილთან, ამხანაგებთან პავლე გილაშვილთან, ბორის ნიკოლსკისთან, გურამ ენუქიძესთან...

შეხვედრები ქართულ მიწაზე ჩემთვის მეტად საინტერესო იყო, რადგან ახლა, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ყველა სასიკეთო გარდაქმნების მოლოდინშია; მშრომელთა განწყობილება დიდი იმედებითა და რწმენით არის ამაღლებული.

მხატვარ ზურაბ წერეთელთან სტუმრობისას სინათლით გაჩირაღდნებულ ქალაქს გადავხედე. დიდხანს ვიდექი გარინდებული და ვფიქრობდი თბილისის დიდებულ ისტორიაზე და კიდევ იმაზე, რომ ასეულობით ფანჯრიდან გამომკრთალი სინათლე თითქოს გამოხატავდა ქართული ხასიათის ელვარე ნიჭიერებასა და ტალანტს.

სევდიანად მახსენდება კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში დათვალიერებული უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი ნორჩი მხატვრის დათო კრაწაშვილის გამოფენა.

ამ წუთას თვალწინ მიდგას გამოჩენილი ქართველი მწერლების ირაკლი აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, რეზო ამაშუკელის და სხვა მეგობრების სახეები და ჩემში მტკიცდება რწმენა, რომ ჩემი მოქალაქეობა, მწერლური ბედი ბევრს დაკარგავდა ქართულ კულტურასთან ზიარების გარეშე.

საქართველოზე რომ ვფიქრობ, თავს მოწიწებით ვუხრი და გულითად მადლობას ვეუბნები. მინდა, ამ საახალწლო წერილსაც „ყველაფრისათვის დიდი მადლობა“ ერქვას.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

## პოეტი

### ნაზი ქედია

მან, როგორც ქარმა, იცის დედაბუნების ენა,
მან, როგორც ქნარმა, იცის მზის და სამყაროს ენა.
მას ძალუძს ქცევა დღევანდელ ცრემლის,
ხვალინდელ ლხენად, ყვავილთა ფერად;
და ამიტომაც იგია მხოლოდ, ვისაც სჩვევია,
გულითვე ხედვა, ხილვა და მზერა,
გუმანით წვდომა, თუ სხვათა შველა,
მზისაკენ უფრთოდ ლტოლვა და ფრენა.
სინათლისაკენ, სიკეთისაკენ,
ზესვლა და ფრენა, — ზეალმაფრენა, ზეალმაფრენა!
რადგან ქარივით მან იცის მხოლოდ,
სივრცეთა ენა, სამყაროს ენა,
და გზას უნათებს მას საბოლოოდ,
ხვალის იმედი და ხვალის რწმენა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომანტიკული სულით



ოთარ ჭელიძე ეკუთვნის ქართული პოეტური სიტყვის იმ შესანიშნავ ოსტატთა რიცხვს, რომლებიც ომის შემდგომ წლებში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე და რომელთაც წამყვანი როლი შეასრულეს ახალი ქართული საბჭოთა ლირიკისა და ეპოსის შემდგომი განვითარებისა და ამაღლების რთულსა და ძნელ გზაზე. ოთარ ჭელიძეს არასოდეს უვლია გატკეპნილი და მოასფალტებული გზით, ის მუდამ ცდილობდა, მოეძებნა თავისი გზა და თვითონ გაეკვალა იგი. ამიტომ მთელი მისი შემოქმედება არის ძიება და მიგნება ახლისა, ახალი თემების, ახალი სახეების, ახალი რიტმის დამკვიდრება როგორც ლირიკაში, ისე ეპიკურ ჟანრში. ქართულ ლირიკულ პოეზიაში მან შეძლო, ორიგინალურად, ახალი თვალით დაენახა და გადმოეცა მეოცე საუკუნის ადამიანის სულიერი სამყარო. საერთოდ, ლიტერატურის ისტორიაში პოეტი იმით არის საინტერესო, თუ რა ახალს, მანამდე უთქმელს, მანამდე უცნობს შემატებს თავისი ერის პოეტურ კულტურას...

და ამ ახალს მუდამ გრძნობთ, როცა ოთარ ჭელიძის ლექსებისა თუ პოემების კრებულს კითხულობთ. ეს ახალი იმავე წუთებში ნაცნობი და ახლობელი ხდება, ვინაიდან გრძნობთ, რომ იგი ამოსულია ქართულ ფესვზე, ქართულ ნიადაგზე. განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვა პოეტმა ბალადის ჟანრში, სადაც მან, ერთი მხრივ, კლასიკური და, მეორე მხრივ, ხალხური ბალადის შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე შექმნა მთელი ციკლი ბრწყინვალე ბალადებისა, რომლებიც გამოირჩევიან პლასტიკური, მკაფიო სახეებით, შეკუმშულად გადმოსცემენ დიდ სათქმელს და ძირითადად ეპოქალურ თემებს ეხებიან. ასეთებია მისი ბალადებიდან „ფეხადგმული ფესვი“ (ქართულ ვაზზე და მევენახის შრომაზე), „დროშების დაბადება“ (ქართველი ჯარისკაცის სიმამაცესა და თავგანწირულებაზე), „ბეშთაუს ბალადა“, „კახეთის საოცრება“, „დაკარგული საფლავი“, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ და მრავალი სხვა. ამ ნაწარმოებებს სრულიად ახლებური ელერადობა აქვთ, ლირიკულ საწყისთან ერთად აქ მთელი ძალით იგრძნობა ეპოსისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობა სახეებისა, რომლებიც ყოველთვის რაღაც დიდზე, ამაღლებულზე, ერის ისტორიისათვის გადამწყვეტსა და ეპოქალურზე მიგანიშნებენ.

ხალხთა ცხოვრების ისტორიას აქვს თავისი იდუმალი რიტმი, თავისი მაჯისცემა, რომელიც უნდა იპოვოს, თავისი შეხებით იგრძნოს პოეტმაც, ისტორიკოსმაც, ფილოსოფოსმაც... და როცა ამ მაჯისცემას იგრძნობ და გადმოსცემ, მაშინ ისტორია აღარ არის მტვერი და ნაცარი, მკვდარი ფაქტების ქაოსური გროვა, აღარ არის მარტო სასაფლაოს მდუმარება; ის მაშინ გაღვიძებული სიცოცხლეა... ოთარ ჭელიძემ იპოვა ეს რიტმი, იგრძნო მთელი არსებით, და გადმოსცა თავისი ხმით, თავისებური ფერებით და სახეებით. ეს აძლევს პოეტს ძალასა და უნარს, დღევანდელი ქართველი შემოქმედის სულში ამოიცნოს ქალდეველი ვარსკვლავთმრიცხველის გზნება, და იგრძნოს იმ ლურჯი ფრთების შრიალი, საუკუნიდან საუკუნეზე რომ გადაჰყავს საქართველო („ოდალეგენდა“).

და პოეტის თვალიც მისდევს ამ ლაღად გაშლილ ფრთებს საუკუნიდან საუკუნეზე. ამ გრძელ გზაზე ის შეგახვედრებს დიდ თამარსა და განდეგილ ბერსაც, ათასსამასი საგალობელი რომ შეუთხზავს სანთლის შუქზე მღვიმეში თავშეფარებულს, შეგახვედრებს ცოცხალ ბარათაშვილსაც, განჯის გზაზე არსენა რომ გადაუდგება წინ — „განდევნილი დავალთ სოფლად, მე ყაჩაღი, შენ მგოსანი, — თქვა არსენამ და გაშორდა ერთურთს ორი ცხენოსანი“ („ორი მარაბდელი“).

ამავე გზაზე ხვდებიან პოეტს ის კალატოზები, ხუროები, მჭედლები, მწყემსები, გუთნისდედები, რომელთაც მან მიუძღვნა თავისი შესანიშნავი პოემა „ქიტესა“... ეს ისინი არიან, ვინც ყოველ ეპოქაში, ყოველ დროს აშენებდნენ საქართველოს და იცავდნენ მას, ვინც ქვეყანა დაღუპვასა და მტრისაგან წალეკვას გადაარჩინა და ახლა, ჩვენს დროში, „ვინც შამხანის საკეტს ხელი არ შეუშვა ბერლინამდის“. ქიტესა — მეტად კოლორიტული ქართული ეროვნული სახეა, ცოცხალი, მოქმედი, და იმავე დროს, აქ არის დიდი ისტორიული განზოგადება — ის აშენებდა ძველი საქართველოს გადამრჩენელ ციხესიმაგრეებს და ის აშენებს რუსთავს — საბჭოთა საქართველოს ყველაზე დიდ, ფოლადის ციხესიმაგრეს... ქართველი გლეხის ბიჭი ქიტესა არის ძალზე ცხოვრებისეული, კონკრეტული, და, ამავე დროს, ფართოდ განზოგადებული სახე. პოეტი მოგვითხრობს მის ბიოგრაფიას და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის ერთი კაცის ცხოვრება, და, იმავე დროს, არის ახალი საქართველოს ისტორიაც.

უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა თავისებური სახეობა ახალი პოემისა, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, კლასიკურისაგან ის ნიშანთვისება განასხვავებს, რომ მასში ლირიკულ საწყისს, პოეტის ინტიმურ განცდას და საერთოდ ავტორისეულ შინაგან ინდივიდუალურ სამყაროს მეტი ადგილი ეთმობა, და საქვეყნო, საზოგადო, საკაცობრიო მასში დანახულია ამ შინაგანის პრიზმიდან. პოეტი აქ დიდ ეპოქალურ ძვრებს, დიდ გარდატეხებს, ერისა და კაცობრიობის ბედში დიდ შემობრუნებებს თავის სულში მოაქცევს და მის ასპექტში განიხილავს; პოეტის მღელვარება თუ სიხარული—ეს მილიონთა განცდაა და მას ყურს უგდებენ მილიონები. ამისდა მიხედვით, თვით ჟანრიც პოემისა ერთგვარ სახეცვლილებას განიცდის — აქ ურთიერთში მჭიდროდ არის შერწყმული ლირიკული და ეპიკური საწყისები და ეს კი ხშირად ითვლება იმის საბაბად, და გამამართლებლად, რომ პოემას აღარ მოსთხოვო მკაცრად ჩამოყალიბებული სიუჟეტი, როგორც ეს კლასიკურ ეპოქაში მოეთხოვებოდა. თუმცა კარგად რომ ჩავუკვირდეთ, საწყისები ამ ახალი პოემისა არ შეიძლება არ დავინახოთ მე-19 საუკუნის რომანტიკულ პოემაში. განა ლირიკული საწყისი მეტად ძლიერი არ იყო, უცხოურ მაგალითებს რომ აღარ გავყვეთ, თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, ანდა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“? დიახ, ეს ასე იყო.

ომი რომ დამთავრდა, ოთარ ჭელიძე ოცი წლის ჭაბუკი იყო... პირველი ლექსები ამ დროისათვის მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა და მომდევნო წლებშიც, როგორ ძლიერად ჩანს მის ლირიკულ და ეპიკურ ქმნილებებში ეს მღელვარე ეპოქა... მას აქვს საოცრად მართალი განცდა იმ დღეებისა, და მკითხველი გრძნობს, რომ ომმა, მისგან მოტანილმა ჭრილობებმა და ტკივილებმა მის გულში მთელი ძალით გაიარეს: „რა ყოფილა ჰოსპიტალი! მართლაც ძნელი გასაძლები უღიმღამო ალაგია, კედლის პირას ყავარჯნები თოფებივით ალაგია!“ ეს პირველად რომ წავიკითხე, უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. ერთ ფრაზაში, ერთ სტრიქონში თქვა პოეტმა ყველაფერი — ომის ჯოჯოხეთი, ტკივილები, ჭრილობები, უცებ თვალწინ დაგვიყენა მამაცი ჯარისკაცი, ბავშვივით უმწეო სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და მთელი ქვეყანა, ფეხზე წამოშლილი მის გადასარჩენად... ჰოსპიტალი — იგივე ბრძოლის ველი იყო: იქ, ბრძოლის ველზე, შენ ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდი, ახლა კი აქ, თეთრ პალატებში, თვითონ ქვეყანა იბრძვის შენს გადასარჩენად, ალბათ ამიტომ არიან ერთმანეთს შედარებული სრულიად არათანზომადი და არამსგავსი საგნები — თოფები და ყავარჯნები. მე მიძნელდება, უფრო ზუსტად გამოვთქვა ის, რაც ამ ლექსმა მაგრძნობინა.

ასეთი ტკივილებით წერს პოეტი ომზე, გაიხსენეთ თუნდაც ომგადახდილი მშენებლის პირველი გაოგნება, როცა ჯერ აუშენებელ რუსთავ-ქალაქში, გაშლილ მინდორზე დამსხვრეულ-დაღეწილ სვასტიკიან და თეთრჯვრებიან ტანკებსა და ქვემეხებს დაინახავს.

ოთარ ჭელიძის ეს ლექსები, და პოემები გულისშემძვრელი სიმღერებია ომზე, ადამიანის გულისა და სიხარულის გამართლებაზე, სიყვარულზე. ეს ლექსები მოწმობენ, რომ პოეტი თავად ხალხთან იყო და არის, მისი პოეზია ხან ნუგეშია, მწუხარების გამზიარებელი და სამძიმრის მთქმელი, ხანაც სიხარულის მახარობელი.

ოთარ ჭელიძის პოემები ეხებიან სამამულო ომს, საბჭო-

თაა ადამიანის შრომასა და ბრძოლას ახალი სამყაროს ასაშენებლად. მისი ბოლოდროინდელი ვრცელი პოემა „ჩემი მაგნიტური არე“ არის დაგვირგვინება პოეტის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა ამ ჟანრში. პოემა დაწერილია სრულიად ახალი რიტმით, რომლის მსგავსი არ ახსოვს რიტმულად მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ პოეზიას. იმავე დროს, ის ძალზე ნაცნობი და ახლობელი გვეჩვენება, ვინაიდან კლასიკურ ფესვზეა დამყნილი და ჩვენი ლიტერატურის ბუნებრივი, ორგანული განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს. ამ ახალმა რიტმმა განაპირობა ის, რომ პოეტს შესაძლებლობა მიეცა, ქართული რითმის ახალი წყაროებისათვის მიეგნო, რისთვისაც იმდენ საშუალებასაც ალარ იძლეოდნენ ადრინდელი საზომები. ამ მხრივ პოეტმა გაამდიდრა ქართული ლექსის გამომსახველობითი შესაძლებლობანი, მისი ინტონაცია, მთელი მისი არსენალი. ეს რაც შეეხება პოემის მხატვრულ მხარეს.

პოემის იდეურ-შინაარსობრივი მხარე ასევე დიდად საყურადღებო და ნოვატორულია იმ გაგებით, რომ დიდი ეპოქალური თემა — ახალგაზრდა ადამიანის ბედი დიდ მსოფლიო მასშტაბებშია აქ ალებული, პიროვნული აქ ფრიად ორგანულად არის შერწყმული ზოგადთან, საკაცობრიოსთან, ინტერნაციონალურთან. ქართველი ახალგაზრდა კაცი, მონაწილე მთელი კაცობრიობის ბრძოლისა, ქვეყნად ბნელის დამარცხებისა და ნათელის გამარჯვებისათვის ცხოვრობს არა მარტო პიროვნულით, მას ერთნაირად აწუხებს თანამოძმის ბედი და აქტიურად მონაწილეობს მის გადაჭრაში, მის წარმართვაში. ეს ზოგადკაცობრიული ასპექტი როდი ახდენს მისი ეროვნული ხასიათის უგულებელყოფას, პირიქით, ამკვეთრებს და უფრო ნათლად წარმოაჩენს. ამ მხრივ პოემა წარმოადგენს საერთოდ ახალი საბჭოთა ეპოსის ფრიად საინტერესო ნაწარმოებს და გვიჩვენებს ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიას, დაწყებული მეორე მსოფლიო ომის წინა წლებიდან ამ ომის დამთავრებამდე და შემდეგაც, და აქ მთელი სისავსით და მშვენიერებით ჩნდება მდიდარი სულიერი სამყარო ადამიანისა, რომელიც აღზარდა ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ.

**გიორგი ნატროშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ოთარ ჭელიძე**

## მოლოდინის ჰანგი

ღრუბლები საავდროდ დაირაზმნენ.
როდესაც უცნობი სტუმარივით,
ვერ მიცნო — ვინც ოდის აივანზე
დამიხვდა გლეხური პურ-მარილით.

— გეტყობა, შორიდან მობრძანდები,
დღეს ჩვენთან იკადრე დაპურება, —
მთხოვა მან რაჭული მოკრძალებით...
— ი ბიჭიც საცაა დაბრუნდება...

გავხედე: ლობეზე გადამძვრალი
ხვიერა ბოსტანში ბიბინებდა
და ჩალა — ხეებზე ნაზამთრალი
ეკიდა ოქროსფერ გვირგვინებად.

— ი ბიჭმა ჩაყარა, გაახარა,
ამ ბაღში რაც დიდი კაკლებია,
თქვა მან და სუფრაზე დაახვავა,
რაც კი რამ ქალაქში დამკლებია.

— ი ბიჭი საცაა დაბრუნდება...
მაჭარი დალიე, უკეთ ივლი, —
მისხამდა, თან შარას გაჰყურებდა
რაჭველი დედუკა გულკეთილი;

სახეზე სიბერის დასასრული
უკრთოდა უთვალავ ნაოჭებად.
ამბობდა ლოდინით დაქანცული:
ი ბიჭი საცაა გამოჩნდება...

ვინც ლუკმა გამიყო გასაყოფი,
გული არ ეგულა [illegible]
ლოდინით დაღლილი [illegible]
მოყვასმა ვერაფრით ვანუგეშე.

და თითქოს მეზობელ ოთახიდან
ელდიან თვალებში არეკლილი
„ქვედრულას“ მაღვრიდა ომახიანს
ბავშვობა — ზარივით დარეკილი.

ჩიტებმა წვიმაში დასველებას
არჩიეს კაკალქვეშ დაბუდება.
დროთაგან მოყრილი მახსენდება:
— ი ბიჭი საცაა დაბრუნდება.

ჭანჭახი საავდროდ გაჰყვიროდა
და ნისლის საკმეველს უნელებდა
ვეება მწვერვალთა თავყრილობა
ალპური სათიბის სურნელებას.

არ ვიცი, სუფრიდან ადგომისას
ვარამი თუ ღვინო მაბრუებდა,
თუ ზარის წკრიალი ბალღობისა,
რომელიც აროდეს დაბრუნდება.

იქუხა და ძლივსღა ჩავისუნთქე
ჰაერი — ელჭექით განაღმული:
შეშლილის თვალებში მაისობდა
კედლიდან მზირალი გაზაფხული —
ი ბიჭი — სულ ახლო — მამისონთან
ორმოცი წლის წინათ დამარხული.

## პასუხი მეგობარ მოქანდაკეს

ვიცი, საქართველო დალოცვილი
გიყვარს სიცოცხლეზე უმეტეს
და ქმნი შთაგონებით ძალმოსილი
ძეგლებს — უკეთესზე უკეთესს.

როგორც საკუთარი დაბადება,
როგორ გავიხსენო... როდიდან
გინდა, სამახსოვრო ქანდაკება
ჩემი ჩამოკვეთო ლოდიდან.

მაგრამ, უკვდავების ქვათა მთლელო,
დადგა საამისო ამინდი —
დიდგორს დაამკვიდრო საქართველოს
აღმაშენებელი დავითი.

რახან არასოდეს გავიწყდება
გლოვა დაკარგული სამარის —
შენი ძალისხმევით გაბრწყინდება
სახე მეფეთ-მეფე თამარის.

ბურჯი კოხტაგორის შეთქმულების.
იმობას ეზვარაკა რომელიც
ცოტნე დადიანის ხელთუქმნელი
ძეგლი გასრულებას მოელის.

როცა ამირანის ქანდაკება
ცეცხლად ალიონზე იელვებს,
შუქი შარავანდად დაადგება
მთებში დაბრუნებულ მთიელებს.

დამწვარს, მიმოფანტულს ღველფისებრად.
სულის სწორუპოვარ კვეთებას
ჩვენი თაობიდან ელირსება
ძეგლი დიდ დედოფალ ქეთევანს.

რაშით ზედაზენზე ავარდნილი
ღამეს ნატაძრალთან ათენებს.
მალე გადმოგვხედავს ავთანდილი
ძმობაგანელებულ ქართველებს.

მოგდგამს წამებულთა თავდადება,
წვდომით — მიუღწევლის მიღწევა.
ყველა შენმიერი ქანდაკება
აწმყოს მოქალაქედ იქცევა.

თემა — სადღეისო, ახლებური
ჭექა-ქუხილიდან გეძახის —
ვაზებს ჯავრიანად ჩახვეული
მეზვრე დასეტყვილი ვენახის.

იეგლად ასაგები რამდენია,
ვინც კლდე ულაღუმოდ არღვია.
რათა ახმაურდეს გამთენია
შენი სახელოსნო კარლია.

ხარ ქვა, გულგოროზი, უკარება
ზოგ-ზოგ აღზევებულ კვაჭისთვის,
ვისაც ენატრება უკვდავება
შენი ჯადოსნური საჭრისით.

მე კი — თეთრწვერება, თეთრთმიანი
ფიფქთა ქანდაკებაც მეყოფა.
რა ვქნა, დამებედა ფეთიანი
ზამთრის ქარბუქების მეფობა...
თოვლის პაპასავით ერთდღიანი
ძეგლი არავისთვის მეთმობა.

ლევან დოლიძე,

# გენერალი ანატოლი კამკამიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს თანამემამულეს ანატოლი მიხეილის ძე კამკამიძეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა.

ამჟამად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობს საქართველოს მკვიდრი სამი გენერალ-ლეიტენანტი, ა. კამკამიძე მეოთხეა, ასაკით ყველაზე ახალგაზრდა.

ანატოლი დაიბადა 1936 წლის 7 ივნისს წითელი არმიის კადრის ოფიცრის მიხეილ ერმალოს ძე კამკამიძის ოჯახში. ანატოლის მამა წარმოშობით ხარაგაულის რაიონის სოფელ ლარიხევიდან იყო, აქ დაიბადა, გაიზარდა და დავაჟკაცდა იგი. ბუნდოვნად ახსოვს ანატოლის თავისი მამა სამხედრო ფორმაში, მისი ვაჟკაცური აღნაგობა, გულთბილი მოფერება და ამბორი.

ეს იყო დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში. ამის შემდეგ ანატოლის მამა არც უნახავს. მიხეილ კამკამიძე ერთი იმათგანია, ვისაც წილად ხვდა ფაშისტებთან პირველი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება. მრისხანე დრო იყო. იბრძოდნენ ყოველი მტკაველი მიწისათვის, და... მაინც უკან იხევდნენ. ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი გადაიტანეს ორმოცდაერთი წლის მეომრებმა. მოგვიანებით, 1942 წელს, სტალინგრადის გააფთრებულ ბრძოლებში მამაცთა სიკვდილით დაეცა მიხეილ კამკამიძე.

გულმოკლულ დედას არ გაუმხელია პატარა ანატოლისათვის მამის დაღუპვის ამბავი. გამარჯვების დღეს, 1945 წლის 9 მაისს, ასე კარგად რომ დაამახსოვრდა ცხრა წლის ბიჭუნას, ანატოლი გულისფანცქალით ელოდა თავის მამას. იგი ამაყობდა ძვირფასი მამით, რომელიც ხშირად ესიზმრებოდა, გაღიმებული, ძლიერი და ლამაზი. მოგვიანებით ყველაფერს მიხვდა. მიხვდა და გადაწყვიტა, რომ მამის ნათელ კვალს გაჰყოლოდა, სამხედრო მოსამსახურე გამხდარიყო.

1954 წელს, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ანატოლი ოდესის კ. ვოროშილოვის სახელობის წითელდროშოვან სამხედრო სასწავლებელში შევიდა. სამი წლის შემდეგ იგი, როგორც სწავლის წარჩინებული ოფიცერი, ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე გაამწესეს. საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი უსაზღვროდ მომთხოვნი ქართველი ოფიცერი დღენიადაგ სრულყოფდა სამეთაურო ხელოვნებას. ამასთან, იგი, როგორც საუკეთესო სპორტსმენი, არმიის ფეხბურთელთა გუნდის სული და გული იყო. 1958 წელს კომკავშირელი აქტივისტი, სანიმუშო და უნარიანი ოფიცერი, პარტიის რიგებში მიიღეს.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი თანამემამულე მოტომსროლელთა ასეულს ჩაუდგა სათავეში. მალე სარდლობის რეკომენდაციით მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მეთაურთა ფაკულტეტზე შევიდა.

1970 წელს ა. კამკამიძე მაიორის წოდებით მოტომსროლელთა ლეგიონის მეთაურის მოადგილეა, ხოლო ორი წლის შემდეგ — ამავე ლეგიონის მეთაური. მრავალი საზრუნავი გაუჩნდა. ლეგიონის მეთაურის სამსახური ხომ რთული და დაძაბულია. ჩვეულებრივი პროგრამით გათვალისწინებული სწავლების გარდა პირად შემადგენლობას ხშირად უხდება მონაწილეობა საჩვენებელ მეცადინეობასა და წვრთნაში. ეს კი დამატებით ვარჯიშს და მტკიცე დისციპლინას მოითხოვს.

1973 წელს ჩვენი თანამემამულე დივიზიის მეთაურის მოადგილეა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — მოტომსროლელთა დივიზიის მეთაური. ამასთან, მას ვადამდე მიანიჭეს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. მაშინ იგი 38 წლისა იყო. ამ თანამდებობაზე კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი. პოლკოვნიკი ა. კამკამიძე შენაერთის მეთაურთა კადრებს გაბედულად ასწავლიდა საბრძოლო ამოცანების ოპერატიულად გადაწყვეტას, ხელქვეითებს უნერგავდა ადამიანებთან მუშაობის, მათი შრომის პატივისცემის უნარს, სამხედრო მომზადებისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნას, მხედრული კოლექტივების დარაზმვის, მათში მკაცრი საწესდებო წესრიგის დამკვიდრების ჩვევებს.

დივიზიის მეთაური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პირადი შემადგენლობის პოლიტიკური, ოპერატიულ-ტაქტიკური, სამხედრო-ტექნიკური და სპეციალური მომზადების გაუმჯობესებას, მეთაურთა და საინჟინრო პროფილის ოფიცერთა ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების დონის ამაღლებას. დივიზიის ქვედანაყოფის შემაჯამებელ მეცადინეობაზე ა. კამკამიძე ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებდა. 1976 წლის ოქტომბერში გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1979 წელს იგი ახალ პასუხსაგებ თანამდებობაზე გადაჰყავთ, სადაც ორ წელიწადზე მეტი იმსახურა და მუდამ იძლეოდა სამშობლოსადმი, უფროსი თაობის — გამარჯვებულთა თაობის საბრძოლო ტრადიციებისადმი ერთგულების მაგალითს.

1981 წელს გენერალ-მაიორი ა. კამკამიძე ერთ-ერთ სამხედრო ოლქში პასუხსაგებ თანამდებობაზე დააწინაურეს, სადაც დღესაც მსახურობს. და აი 48 წლის ასაკში მას გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა. დიდად დაფასდა მისი მხედრული შრომა. გენერალი ა. კამკამიძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის" III ხარისხის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, თორმეტი მედლით, მათ შორის სოციალისტური ქვეყნებისაც. ასეთია გენერალ-ლეიტენანტი ა. კამკამიძე, სპორტის ოსტატი ფეხბურთსა და სამხედრო საქმიდში, მაღალკვალიფიციური სამხედრო სპეციალისტი.

გულითადი მეგობრობა აკავშირებს ანატოლი კამკამიძეს აფხაზეთის სამხედრო კომისართან გენერალ-მაიორ ლერი ივანეს ძე აბაშიძესთან (ერთად მსახურობდნენ ციმბირში) და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსთან გენერალ-მაიორ მუხტარ სიმონის ძე ელბაქიძესთან.

ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა დიდი დღესასწაული ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი. ამ დროის მანძილზე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ არა მარტო ფრონტელთა შვილები, არამედ მათი შვილიშვილებიც. ისინი მტკიცედ აგრძელებენ სასახელო ესტაფეტას უფროსი თაობისა, რომელმაც ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბოლომდე დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი — პირველი სოციალისტური ქვეყანა, საბჭოთა კავშირი.

კამკამიძეების ოჯახი ზემონათქვამის თვალსაჩინო მაგალითია. მიხეილ ერმალოს ძე კამკამიძე, წითელი არმიის კადრის ოფიცერი, გმირულად დაიღუპა სტალინგრადის ბრძოლებში. მისი ვაჟი ანატოლი დღეს გენერალ-ლეიტენანტია. გენერლის შვილები ბაბუისა და მამის კვალს გაჰყვნენ: ოლეგი საბჭოთა არმიის ოფიცერია, იგორი — ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის კურსანტი.

ქართველი ხალხი სიყვარულით ულოცავს ახალ, 1986 წელს თავის სახელოვან შვილს გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი კამკამიძეს და მის დიდებულ ოჯახს!

## კონსტანტინე ლომია

# გახსენება

ზღვასთან ვდგავარ. გულს მიხარებს
მისი ლურჯი სამოსელი.
თითქოს ჩემ წინ ზღვა კი არა,
გადაშლილა ფართო ველი.

მზე ადნება სანაპიროს,
ტალღა ოქროს შხეფებს ისვრის,
ბანაობენ პატარები
და ვარსკვლავებს ჰგვანან ცისკრის.

ზოგი იქვე ჰყუმპალაობს,
ზოგი, ვხედავ, კარგად ცურავს, —
მარჯვედ ხტება სიმაღლიდან,
ტალღებს უტევს ვაჟკაცურად.

ზოგი ქვიშის კოშკებს აგებს,
ზოგი დარბის, ზოგი ზღვიდან
ნიჟარა რომ ამოაგდოს,
შეხტება და წყალში ყვინთავს...

ზღვასთან ვდგავარ, გულს მიხარებს
მისი ლურჯი სამოსელი,
ერთი, შეხეთ, რა ფერებით
მოქარგულა მინდორ-ველი!

თამაშობენ პატარები
მზე უბრწყინავს თვალში ყველას,
მესმის მათი ჟრიამული,
ვერ ვაშორებ ბავშვებს მზერას.

უცებ ცრემლი მომადგება,
მეკარგება მუხლშიც ძალა
და ვიგონებ ბოლმით იმ წლებს,
ბავშვობა რომ ჩამიმწარა!

* * *

ჩემი ბავშვობის წლებო,
დაუვიწყარნო მარად,
ცრემლი რომ წამსკდეს ღვარად,
დღეს მოგონებაც კმარა.

მე ახლაც მაწევს მხრებზე
ტვირთი გარდასულ დღეთა,
ო, ის მტანჯველი წლები,
რამ დამავიწყოს ნეტა!

მეც ხომ პატარა ვიყავ, —
უნდა მეფრინა ცაში,
მაგრამ ოცნების ნაცვლად,
გუთანს ვეკიდე ბავშვი.

ვხნავდი, ვთესავდი, ვმკიდი,
მიწას აწვიმდა ოფლი,
შემომყურებდა ყველა,
იმედი ვიყავ სოფლის.

ვიგონებ. გული მტკივა,
მაგრამ არ ძალმიძს, არ ვთქვა,
მახსოვს, წისქვილში ღამით
ვეზიდებოდი საფქვავს.

ო, საშინელო წლებო,
თვალწინ მიდგახართ დღესაც...
მწარე ობლობაც ტვირთად
აწვა ბავშვობას ჩემსას.

როგორც ოჯახის უფროსს
მქონდა ყელამდი საქმე,
სხვა რა მებადა მაშინ,
დავთმე. ბავშვობა დავთმე.

მოწამებრივი თმენით
მეც მივყვებოდი ჩემს გზას.
არ წამსკდომია ცრემლი,
არ დამცდენია კვნესა.

თუ მოვიდოდა ვინმე, —
მოადგებოდა ჭიშკარს.
თავს დავუკრავდი სტუმარს
პატივისცემის ნიშნად.

თუ იკივლებდა ვინმე,
თუკი უჭირდა ვისმე,
მეც დედაჩემთან ერთად
იქ გავჩნდებოდი მყისვე.

არ მქონდა მოსვენება,
ძვირფასი იყო წამიც,
ხშირად ყანაში ჩალას
ვკრავდი მთვარიან ღამით.

გათენებამდე ზოგჯერ
სიმინდს ვარჩევდი თვლემით
და იმჟამინდელ ტკივილს
ახლაც კი გრძნობენ მხრები.

თუმცა რა იყო, რატომ,
რა გაჭირვებად ვთვლიდი!
უბედურება თურმე
მელოდა უფრო დიდი.

მეხუთე კლასში ვიყავ...
თავზე დაგვატყდა ომიც,
ბავშვობას ჩემსას შავი
ჩრდილი დაეცა ყორნის.

„ომი!“ ეს სიტყვა თავზე
დაცემას ჰგავდა მეხის.
დადუმდა სოფლის ზარი,
ყანას მოშორდა გლეხი

და მიაშურა საბჭოს, —
მორჩა შრომა და გარჯა,
და გადახნული ველი
დაუთესავი დარჩა.

გზა ერთი იყო მაშინ:
— ფრონტი! — გათავდა, მორჩა!
შვიდი ძმა — შვიდი ბურჯი
გამოეცალა ოჯახს.

ექიმიც ჩვენი სოფლის
ფრონტის გზას გაჰყვა უხმოდ,
კაცთაგან არვინ დარჩა,
ყველას მამულმა უხმო.

მიაცილებდა საქმროს, —
ასე ითხოვდა ვალი, —
და იხრჩობოდა ცრემლში
გასათხოვარი ქალი.

დაბადებულებს იმ დღეს,
ცრემლები ერგოთ ნამად, —
ქვეყნად ობლებად გაჩნდნენ,
არც კი უნახავთ მამა.



ომის მსახვრალი ხელი
ვერა და ვეღარ აგვცდა,
მთელი სოფელი დარჩა
იმედით ბერიკაცთა.

იმ დღეთა ჭირს და ვარამს
ჟამი ვერასდროს წაშლის.
ჩვენ, პატარებიც, მაშინ
დედებს ვედექით მხარში.

ერთ პირზე დადგა ხალხი,
სისხლი სწყუროდათ მტრისა,
აგორდა, როგორც ზვავი,
ხალხის ძალა და რისხვა.

არ დაცემულა არვინ,
ყველას სჯეროდა ხვალის,
და მოხუცებიც ჩვენი
იდგნენ სიმტკიცით რვალის.

არად აგდებდნენ ტკივილს,
აღარც სიმძიმეს წლების,
დასტრიალებდნენ ყანას
კვლავ ჭაბუკური გზნებით.

დედები ქსოვდნენ წინდებს,
გათენებამდე ქსოვდნენ...
შავმა არშიამ მალე
თვალი დაუვსო ოდებს.

ჩვენი ბიჭები ალბათ,
ვეღარ ელირსნენ ნობათს,
ფრონტზე დალუპვის ამბავს
იუწყებოდა ცნობა.

და სავსე იყო დღენი
უით, ვაით და ვიშით,
საავდრო ღრუბელივით
იბერებოდა შიში.

მოაგორებდა ჟამი
ბოღმა-ნაღველის მორევს,
მაინც იმედის თვალით
ჩვენ გავყურებდით შორეთს.

არ ჯაგვტეხია გული,
არ გაგვცვეთია მკლავი,
არც მოქნეული ხმლისთვის
შეგვიშვერია თავი.

იმედით იყო დედა,
ცრემლს ვერ მალავდა თვალი,
იმედით იყო ყველა
გასათხოვარი ქალი.

მარჩიელებიც გაჩნდნენ, —
იმედს თესავდნენ, იმედს,
თუმც აწვებოდა ყველას
დარდი, ლოდივით მძიმე.

იმედი, როგორც ჭრაქი,
ბჟუტავდა დედის გულში:
იქნებ შეცდაო ცნობა,
რომ მოუტანეს გუშინ...

შეძახილები ჩვენი
ისმოდა კიდით-კიდით
და ვამხნევებდით ერთურთს,
ვკრეფდით, ვხნავდით თუ ვმკიდით.

ვეჭიდებოდით გუთანს,
მივუძღვებოდით ურემს,
ჩვენ არ გვესმოდა მაშინ,
ბევრს ვაკეთებდით თურმე.

შინ ვბრუნდებოდით გვიან,
მამლის ყივილის ხმაზე
და თენდებოდა დილა,
კვლავ საზრუნავით სავსე.

და მიდიოდა ასე
ჩვენი ბავშვობის დღენი —
აუწერელი კალმით,
გამოუთქმელი ენით.

გადავდიოდით კვახით
და მოხარშული ხილით,
ვიყოფდით პურის ყუას,
მაინც არ გვითქვამს ძვირი.

ქალაქელებიც ზოგჯერ
ჩამოდიოდნენ ჩვენთან,
ნაცნობი იყო მათთვის
ჩვენი სოფლური სევდა.

მოჰქონდათ რაღაც ძონძი
და იმ ძონძების ნაცვლად
ვაძლევდით პურის ნატეხს,
თუ ცოტაოდენ მარცვალს...

ფრიცები ყრიდნენ ფურცლებს,
ფრთებს რომ მოჰგავდნენ ყვავის,
„თქვენი არმიის დღენი
უკვე დათვლილი არის!“ —

გადმოსჩხაოდნენ ასე
ჩვენს ოცნებებს და ფიქრებს,
ჩვენ ვაგროვებდით ფურცლებს
და მერე ვწვავდით იქვე.

რომ გამქრალიყო ყველგან
მათი ბოროტი კვალი,
ვგრძნობდით, ასეთი იყო
ჩვენი საქვეყნო ვალი.

ამასობაში მტერიც
უკვე მოადგა აფსნის*,
კავკასიონით ზღვისკენ
იმედი ჰქონდა გასვლის.

თითქოს შეირყნენ მთები, —
ნალმი არღვევდა შორით
საუკუნოვან დუმილს
მარადიული თოვლის.

მაგრამ კლდესავით იდგა
ჩემი მშობელი კერა,
ფსხუს ვერ გადმოსცდა მტერი,
ვერ გადმოლახა, ვერა.

ყველა — დიდი და მცირე —
შეკრული იყო ფიცით:
„მამულს სჭირდება შველა,
მამულის დაცვა ვიცით!“

მთისკენ ცხენით თუ ზურგით, —
ვიდრე არ იყო გვიან, —
ეზიდებოდნენ სურსათს,
ეზიდებოდნენ ტყვიას.

მახსოვს, სტეფანე ძიამ
ფრონტზე გაგზავნა ცხენი,
თანაც დალოცა ასე
უძვირფასესი ძღვენი:

„დამიბრუნდება ბიჭი,
მჯერა, ინებებს ღმერთი,
თუ ასე იქნა, მაშინ
შენც გაგიღიმებს ბედი...“

მაგრამ ვაი რომ მოხუცს
არ გაუმართლა სიტყვამ,
აღარ დაბრუნდა ბიჭი,
ცხენიც მის გზა-კვალს მიჰყვა.

და ჩამოუშვეს მთებმა
შავი ღრუბლების ფარდა...
ჩასაფრებოდა ომი
ყველას საკუთარ კართან...

საფრთხე ელოდა სოხუმს,
მაგრამ იკრებდა ძალას,
მტრის ურჩხულებმა სტვენით
გადაუფრინეს ქალაქს.

ბომბმა გაბზარა მისი
ლაჟვარდოვანი ჭერი,
შორით მესმოდა კვნესა, —
დაჭრეს ქალაქი ჩემი.

ტყისპირას, სოფლის ბოლოს
(ის დილა მახსოვს დღესაც)
ბავშვები შევეფეთეთ
მტრის გადმოსროლილ დესანტს.

შიშით გავრბოდით სადღაც,
თმები დაგვიდგა ყალყზე,
მერე ვუამბეთ ყველას,
რაც ჩვენი თვალით ვნახეთ.

მახსოვს, ჩვენც ვთხრიდით სანგარს,—
მოვიდა ჩვენი რიგიც,
მაგრამ, მადლობა უფალს,
აღარ დაგვჭირდა იგი.

კავკასიონის ქედი
ვერ გადმოლახა მტერმა...
ასე მგონია, მკერდი
ჩვენც შევუნგრიეთ ვერმახტს.

აფსნის მიწაზე თუმცა
მტერს არ დაუდგამს ფეხი,
არ აგვცდენია მაინც
შიშის ზარი და მეხი.

გვქონდა დღეები გლოვის,
მამულს ვიცავდით მკერდით.
ჩვენც გვედო ჩვენი წილი —
ჩვენც გამარჯვებას ვჭედდით!

არ გაგვტეხია გული,
არ გაგვჩენია ბზარი...
კვლავაც ღვიოდა კერა,
კვლავაც გვიხმობდა ზარი,

მაგრამ, მართალი გითხრათ,
ცოტა გვიჭირდა სწავლა,
აბა, რა უნდა გვექნა,
აბა, სად გვქონდა ძალა!

იმ ავბედითი წლების
აბობოქრებულ ტალღას, —
როგორ შევძელით, მიკვირს, —
მაინც წავგლიჯეთ რაღაც.

რა დაგვავიწყებს იმ წლებს,
თუმც მოგონება გვიჭირს,
მათ შეიწირეს ბევრის
შთაგონება და ნიჭი.

რა დაგვავიწყებს იმ წლებს,
ფრონტულ სამკუთხა ბარათს:
სადაც არ უნდა ვიყოთ,
დარდი გაგვყვება მარად.

ისე, ვით გაფრთხილება,
გულში წარსული გოდებს,
ის საშინელი ჟამი
არ უნდა განმეორდეს!

არ უნდა განმეორდეს,
არა, არა და არა,
კმარა ნგრევა და სისხლი,
ცეცხლი და ცრემლი კმარა!

მზე დასცქეროდეს მთების
კალთებს შეფენილ ოდებს.
კიდით კიდემდე ისმის:
არ უნდა განმეორდეს!

* * *

ზღვასთან ვდგავარ. გულს მიხარებს
მისი ლურჯი სამოსელი.
ერთი, შეხეთ, — რა ფერებით
მოქარგულა მინდორ-ველი!

თამაშობენ პატარები,
მზე უბრწყინავს თვალში ყველას.
მესმის მათი ჟრიამული,
ვერ ვაშორებ ბავშვებს მზერას.

მამშვიდებს და მახალისებს
საზეიმო ეგ იერი,
ეს ახალი თაობაა —
უზრუნველი, ბედნიერი!

აფხაზურიდან თარგმნა
მურმან ხურცილავამ

---

* აფსნი — აფხაზეთი.


ელექტრონული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით აღნიშნეს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, მგზნებარე რევოლუციონერის, თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მოღვაწის — **გიორგი სტურუას** დაბადების 100 წლისთავი.

**სურათზე:** მიხეილ ივანეს ძე კალინინი და გიორგი თევდორეს ძე სტურუა.

## 18 დეკემბერი, 1985 წელი

მას შემდეგ, რაც მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავი, მოსკოველმა მწერლებმა მიიწვიეს თავიანთი ქართველი კოლეგები, რათა მათთან ერთად ჩაეტარებინათ პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

18 დეკემბერს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში დაიწყო ქართული პოეზიის საღამო, რომელიც ამაღელვებელი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ, გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ.

სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ დამსწრეთ გააცნეს ტიციან ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება. თავისი გამოსვლის დასასრულ შოთა ნიშნიანიძემ წაიკითხა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი.

სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ხუტა ბერულავამ, ჯანსულ ჩარკვიანმა, ოთარ ჭელიძემ, რეზო ამაშუკელმა და ხუტა გაგუამ.

ტიციან ტაბიძის და საღამოს მონაწილე ყველა ქართველი პოეტის ნაწარმოებთა თავიანთი თარგმანები წაიკითხეს ალექსანდრე მეჟიროვმა, ვლადიმერ სოლოუხინმა, ელენე ნიკოლაევსკაიამ, იური რიაშენცევმა, მიხეილ სინელნიკოვმა, ლევ ოზეროვმა, ოლეგ ჩუხონცევმა, ვლადიმერ ლეონოვიჩმა.

საღამოს ფოტო-რეპორტაჟი
იხილეთ მე-15 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოიას პორტრეტი

1941 წ. გაწვევა.



მურმან ჭანიშვილი

პეიზაჟი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურამ ღლონტი

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.

სერიიდან: „ადამიანი და ზღვა“.
მოგონება.

სერიიდან: „გაზაფხულის მელოდიები“.
შუადღე.
ბადმინტონი,
მეარღნე.







ეროვნული ბიბლიოთეკა



სერიიდან: „გაზაფხულის მელოდიები“.
მარტი.
სერიიდან: „მომავალი ჩემპიონები“.
თამაში.
სერიიდან: „ოცნება და სიყვარული“.
გახსენება.
სიყმაწვილე.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმი ძველ თბილისში.

მურმან ჯანიშვილი

ნატურმორტი.



ვახტანგ გოილაძე

# ქალაქი ანტიოქია

## „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში"

ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" ერთ-ერთი ძირითადი წყაროა V ს-ის საქართველოს ისტორიისათვის. ამ თხზულების, როგორც საისტორიო წყაროს შესწავლის მიზნით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ გადასინჯვას მოითხოვს თხზულების დაწერის დროისა და ღირსების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებანი, თითქოს: „ცხოვრება" თვითმხილველის მიერ არაა დაწერილი, ამიტომ მოთხრობა არ შეიცავს უტყუარ სურათს; იგი ვახტანგ გორგასლის თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიისათვის „გამოუდეგარია"; საერთოდ კი მასში „ზოგიერთი ცნობის გარდა არაფერია ფასეული".

1983 წელს ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალების თარიღების დადგენისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში (იხ. „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი", „მნათობი", 1983, № 11) ვწერდი, რომ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში" არსებული ისტორიული რეალობის ამსახველი მრავალი ფაქტი და მოვლენა ჯერ კიდევ „საიდუმლოებითაა" მოცული. ამ „საიდუმლოებათაგან" ზოგიერთის ახსნა ვცადე (იხ. რომელი ქვეყანაა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" აბაშეთი?, „მნათობი", 1984, № 7; ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია, „მნათობი", 1985, № 4), დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ახსნას მოითხოვს.

„ცხოვრებაში" გამოვლენილი ზოგიერთი ისტორიული რეალობა იმის ნათელ დადასტურებად მიმაჩნია, ჯუანშერი მართლაც ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორი რომ უნდა ყოფილიყო. „ცხოვრება" რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებიდან 600 წლის შემდეგ მოღვაწე ავტორს შეედგინა, V საუკუნისათვის დამახასიათებელ ისტორიულ რეალობებს მასში ვერ შეიტანდა. საერთოდ, თხზულებაში არსებულ ცნობათა სათანადო და ამომწურავი შესწავლა ჯუანშერს წარმოგვიდგენს, როგორც ვახტანგ გორგასლის თანამედროვე, თავისი დროისათვის ერუდირებულ ისტორიკოსს, რომელსაც სათანადო სიზუსტით აქვს აღნუსხული არა მარტო სამეფო კარზე და ქართლის სამეფოში, არამედ ქართლის ახლო თუ შორეულ მეზობელ ქვეყნებში მომხდარი ზოგიერთი ამბავი. ამიტომაა, რომ „ცხოვრებაში" არსებული ყოველი ცნობის ინტერპრეტაცია ახლებურად აშუქებს, როგორც V ს-ის საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის ცალკეულ საკითხებს.

ამჯერად გვინდა, „ცხოვრებაში" მოხსენიებული ქ. ანტიოქიის ლოკალიზაციის გარკვევით, კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, რომ თხზულების ცნობები ძირითადად სანდოა და იგი ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორის მიერ არის დაწერილი.

ქალაქი ანტიოქია ჯუანშერის თხზულებაში ორ ამბავთან დაკავშირებით იხსენიება. პირველად იგი მოხსენიებულია ირანის შაჰთან ერთად ვახტანგ გორგასლის ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლისა და დაბრუნების ამბების აღწერასთან დაკავშირებით, ხოლო მეორედ, როცა ამ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ქართლის მაშინდელი მთავარეპისკოპოსი მიქაელი გადააყენა და კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარს შეუთვალა, ქართლში კათალიკოსი და ეპისკოპოსები გამოეგზავნათ. მხოლოდ, კათალიკოსად აუცილებლად ადრე მის მიერ პონტოში ლაშქრობისას გაცნობილი პეტრე უნდა ყოფილიყო.

„ცხოვრებაში" არსებული ცნობით, თავის მხრივ, კონსტანტინოპოლიდან „წარავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას. და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა მეფემან და პატრიაქმან კონსტანტინეპოლელმან ესრეთ, ... ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ... აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი, ვინცა — ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ... და ანტიოქელმან პატრიარქმან აკუთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად" (გვ. 197-198).

ზემომოყვანილი ციტატიდან აშკარაა, რომ საუბარი სირიაში — მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიას შეეხება. სირიის ანტიოქიის ქრისტიანული თემი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი იყო ადრექრისტიანულ სამყაროში. ანტიოქიის ეკლესიასთან საქართველოს ძველთაგანვე კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა. ძველი ქართული და უცხოური საისტორიო ტრადიცია ერთხმად მიუთითებს ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიისადმი იერარქიულ დამოკიდებულებაზე.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტრადიცია კარგადაა ასახული „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში" და ეს არცაა გასაკვირი, V ს-ის ავტორი ხომ თავის თანადროულ ამბებს გადმოსცემდა.

კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიაში „წარვლენილი პეტრე მღდელი" იქ კათალიკოსად კურთხევის შემდეგ, ქართლის პირველი კათალიკოსი გახდა— ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. ამ აქტის დადებითად გადაწყვეტას, როგორც ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ვახტანგ გორგასლის დიდმა ავტორიტეტმა და მისმა დანათესავებამ ბიზანტიის საიმპერატორო კართან. ახლა, რაც შეეხება ანტიოქიის პირველ მოხსენიებას, მასში ძნელია, მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქია დავინახოთ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

როგორც „ცხოვრებაშია" ნათქვამი, ქართლში ირანელთა ლაშქრობა ბიზანტიელთა ჩარევით ზავით დამთავრდა და დაზავებულ ვახტანგს ირანის შაჰმა (იგულისხმება პეროზი 459-484 წწ.) დაჲ სთხოვა ცოლად, თვით ვახტანგს კი — თავისი მტრების „აბაშთა და ელამთა, ჰინდოთა და სინდთა" წინააღმდეგ შემწეობა (გვ. 184).

ვახტანგმა ირანის შაჰს თავისი უმცროსი და მირანდუხტი მისცა ცოლად და როცა ირანის შაჰი და ვახტანგი ქართლიდან გადიოდნენ..." ვახტანგს ევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარანძე (ხუარანძე ვახტანგის უფროსი და იყო. ვ. გ.), რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს" (გვ. 186).

როგორც ცნობილია, ადრექრისტიანული ხანიდან მოკიდებული ყველა ქრისტიანი თავის ვალდებულებად თვლიდა, წმინდა ადგილები მოელოცა. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია მაშინდელ საქართველოშიც არსებობდა, ამიტომ ვახტანგი დედის — საგდუხტისა და დის ხუარანძის იმ სურვილს, რომ იერუსალიმის წმინდა ადგილები მოევლოთ სიამოვნებით დასთანხმდა და „წარიტანნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისას; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაჲ მისი იერუსალემს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას" (გვ. 186).

ზემომოყვანილ ცნობაში ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი არაფერია, მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით, ცოტა უცნაურად ჩანს ირანში გაბრუნებულ შაჰთან ერთად იერუსალიმში მიმავალი მლოცველების ადარბადაგანის, ე. ი. თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის გზით წასვლა მაშინ, როცა, სამხრეთ საქართველოზე გავლით იერუსალიმისაკენ უმოკლესი გზა გადიოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯუანშერი არ ცდება. ჯერ ერთი, სამხრეთ საქართველოდან იერუსალიმისაკენ მიმავალი გზა ბიზანტიის კუთვნილ პროვინციებზე გადიოდა, ამიტომ გამორიცხული იყო ირანის ჯარის ამ გზით მოძრაობა. მეორეც, ი. მანანდიანის თანახმად, აქემენიანთა ხანის ყოფილი „სამეფო გზის" ჩრდილო განშტოება ქ. ეკბატანიდან სელევკიის, ედესისა და ნისიბისის გავლით ამიერკავკასიის ქვეყნებში და შემდეგ შავი ზღვისაკენ სწორედ ატროპატენაზე (იგივე ქართული წყაროს ადარბადაგანი — მდ. არაქსისა და ურმიის ტბის რაიონი) გადიოდა. სხვათა შორის, სწორედ ზემოდასახელებული ადარბადაგანის გზით შემოვიდნენ 491 წელს ირანელები ქართლშიც, როცა „იორსა ზედა" ბრძოლაში ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა.

თუ იმ ანტიოქიად, სადაც შაჰი იერუსალიმში წასულთ ელოდა სირიაში მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიას მივიჩნევთ, იგი მართლაც იერუსალიმთან შედარებით ჩრდილოეთითაა და იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. შეიძლება გვეფიქრა, რომ ირანის შაჰი იქ ელოდა მლოცველებს, მაგრამ ეს ქალაქი მაშინ ბიზანტიას ეკუთვნოდა და იმ ხანად ბიზანტია-ირანის საზღვარი ანტიოქიიდან ბევრად აღმოსავლეთით გადიოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირანის შაჰის იმპერიის საზღვრებში ყოფნა საეჭვოდ მოგვეჩვენა. სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ თხზულებაში ქ. ანტიოქიის ქვეშ ამჯერად ირანის საზღვრებში მდებარე რომელიღაც ქალაქი უნდა იგულისხმებოდეს.

თხზულების ამ ნაწილში მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქია რომ არ იგულისხმება, ამას ისიც მოწმობს, რომ ჯუანშერის ცნობით, აქვე, ანტიოქიაში მოვიდა შაჰთან ბიზანტიელი სარდალი ლეონ ანთიპატოსი ბიზანტიელთა 20 ათასიანი რჩეული მხედრით და „მოართუეს ხუასროს კეისრისაგან ძღუენი მიუწდომელი და

ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი" (გვ. 186). ბიზანტიელთა სამხედრო კონტინგენტს ლეონის სარდლობით „ვახტანგის ბრძანების ქუეშე" უნდა ებრძოლა ირანის მტრების წინააღმდეგ.

ცხადია, ქ. ანტიოქია, სადაც შაჰი იერუსალიმში წასულ მლოცველებს ელოდა, ირანის ჯარების თავმოყრის ადგილი იყო. ასეთ ადგილად, რა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა ბიზანტიის კუთვნილ ტერიტორიაზე, მდ. ორონტზე მდებარე ქალაქი — ანტიოქია, რომელიც საგრძნობლად იყო დაშორებული მაშინდელი ირანის საზღვრებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერის ცნობა ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი ირანის შაჰისათვის ბიზანტიელთა 20-ათასიანი მხედრის გაყოლების შესახებ ახალი მასალით ავსებს ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს, საიდანაც ვიცით, რომ ბიზანტიის იმპერატორები ირანის შაჰებს ჰუნებისაგან კავკასიის ზღვარების დასაცავად ფულად სახსრებს უხდიდნენ.

იერუსალიმიდან ანტიოქიაში მოსული ვახტანგისათვის, ჯუანშერის სიტყვით, შაჰს უთხოვია ვახტანგის დედა საგდუხტი და დაჲ ხუარანძეც დასწრებოდნენ მის ქორწილს და შემდეგ, თუ ინებებდნენ, ქართლს წასულიყვნენ, თუ არა და დალოდებოდნენ ვახტანგის ლაშქრობიდან დაბრუნებას „ურჰას ქალაქსა შინა" (გვ. 187).

შაჰმა ბაღდადში* „აღასრულა ქორწილი სამეუფო, ექუს თუე განცხრომითა და განსუენებითა მიუწოდმელითა" (გვ. 187), რის შემდეგაც ვახტანგის დედა და დაჲ „წარმოვიდნენ ურჰას", შაჰი და ვახტანგი „წარემართნენ მტერთა ზედა".

ირანის შაჰის — პეროზის მიერ ჰუნთა წინააღმდეგ წამოწყებული ეს ხანგრძლივი ლაშქრობა, როგორც ჯუანშერი წერს, მართლაც კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ჯორჯანების წინააღმდეგ ომით რომ დაიწყო, ეს სირიელი ავტორის ზაქარია მიტილენელის ცნობით დასტურდება.

ქ. ურჰა (ახლანდელი ურფა სამხრ. აღმოსავლეთ თურქეთში), იგივე ედესა, ჩრდ. შუამდინარეთში მდებარეობს. ერთი ვერსიით, სახელი ურჰა ქალაქს მრავალრიცხოვანი წყაროების გამო უნდა შერქმეოდა. ურჰას ბერძნული სახელი „ორჰოე", საიდანაც წარმოდგება ოლქის სახელი ოსროენა, ურჰას ელინისტურ ფორმად მიაჩნიათ. მეორე სახელი — ედესა ქალაქს აზიაში ალ. მაკედონელის ლაშქრობათა დროს ეწოდა, რადგან მდებარეობით იგი მაკედონელთა ძველი დედაქალაქის — ეგის გარეუბან ედესას მიაგავდა. შემდეგში ქალაქი სელევკიდთა სახელმწიფოს მეფემ ანტიოქე IV-ემ (ძვ. წ. 175-167 წწ.) შეამკო და გააფართოვა, რის გამოც მის პატივსაცემად ქალაქს ანტიოქია ეწოდა.

---

* ქ. ბაღდადი 762 წ. დააარსა ხალიფა ალ-მანსურმა, ამიტომ ბაღდადის ირანის დედაქალაქად მოხსენიება „ცხოვრებაში" გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს. ირანის დედაქალაქი მაშინ ქტეზიფონი იყო.

ძვ. წ.-ის 70 წლებიდან იგი რომის იმპერიის საზღვრებში შედიოდა. V საუკუნისათვის ქ. ედესა-ანტიოქია დიდ კულტურულ და რელიგიურ (ქალაქში 300-მდე მონასტერი იყო) ცენტრს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საგდუხტ დედოფალმა და ხვარანძემ უკეთესად მიიჩნიეს ვახტანგის ლაშქრობიდან დაბრუნებას ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მდებარე — ქრისტიანულ სამყაროში ცნობილ ქალაქში დალოდებოდნენ.

მართალია, ურჰას ადრე ანტიოქიაც ერქვა, მაგრამ ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ურჰაში ის ქალაქი ანტიოქია არ იგულისხმება, სადაც იერუსალიმში სალოცავად წასულთ ირანის შაჰი ელოდა და სადაც ირანის ჯარის თავმოყრა ხდებოდა. როგორც ვნახეთ, ჯუანშერი ამ ქალაქს იცნობს ძველი არამეული სახელით — ურჰა.

გარდა იმისა, რომ ქართლიდან დიდი სამხედრო კონტინგენტით ირანს გაბრუნებული შაჰი იმპერიის ტერიტორიაზე სიარულს ვერ დაიწყებდა და კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ჯორჯანეთში სალაშქროდ მიმავალი ჯარის თავმოყრა ირანის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქში უნდა მომხდარიყო, ქ. ანტიოქიას, რომელზეც ჯუანშერი ლაპარაკობს, ირანის ტერიტორიაზე, ქ. ურჰას აღმოსავლეთით გვაგულისხმებინებს ჯუანშერის შემდეგი ცნობაც: ჰუნთა წინააღმდეგ ლაშქრობის ბოლო ეტაპზე — აბაშეთის დაპყრობის შემდეგ, როცა ჯუანშერი ვახტანგის ირანიდან დაბრუნების ამბავს გადმოგვცემს, წერს, რომ ვახტანგი „წარმოვიდა წელსა მერვესა შესვლით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე, და მოვიდა ურჰად" (გვ. 196). ე. ი. ირანის აღმოსავლეთით მდებარე აბაშეთიდან (აბაშეთის მდებარეობის შესახებ იხ. ჩემი წერილი — რომელი ქვეყანაა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" აბაშეთი?) ვახტანგი ჯერ ანტიოქიაში მივიდა, შემდეგ იმპერიის საზღვრებში მდებარე ქ. ურჰაში.

აბაშეთიდან მომავალი ვახტანგი, რა თქმა უნდა, ხმელთაშუაზღვის მახლობლად — მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიაში არ ჩავიდოდა, ანტიოქია, რომელზეც ჯუანშერი ლაპარაკობს, როგორც აღვნიშნე, უეჭველია, ურჰას აღმოსავლეთით, ირანის ტერიტორიაზე მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. აქ უცდიდა შაჰი იერუსალიმში წასულ მლოცველებს, აქვე მოხდა ჯარის თავმოყრა და აქედანვე დაიწყეს ჯორჯანეთში ლაშქრობა. და ბოლოს, აბაშეთიდან ირანის გავლით საქართველოში მომავალი ვახტანგისათვის ანტიოქია ბოლო პუნქტი იყო ირანში — შემდეგ გზა ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარე ურჰაში გადიოდა — ასეთ ქალაქად, უძველესი დროიდან ქ. ნისიბისი ჩანს.

ჯუანშერის სიტყვით, ურჰაში მოსულმა ვახტანგმა „მშვიდობით პოვნა დედა და დაჲ მისი, და წარმოვიდეს ვიდრე განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა". ბერძენ-სომეხთა საზღვრიდან „წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატად" (გვ. 196). აქედანვე წარავლინა ვახტანგმა კონსტანტინოპოლში „მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა" (ჯუანშერის ცნობით, იმპერატორის ასული ელენე ვახტანგმა პონტოში ლაშქრობისას დანიშნა), ხოლო პეტრე პონტოელი მღვდლის ქართლის კათალიკოსად საკურთხებლად, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ახლა კვლავ ნისიბისის შესახებ. პროფ. ნ. პიგულევსკაიას თანახმად, როცა სასანიანთა ირანმა ბიზანტიასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირი დაამყარა — სასაზღვრო ქალაქი ნისიბისი გამოცხადებული იქნა ერთ-ერთ იმ პუნქტად, რომელშიც ირანთან სავაჭროდ დაუბრკოლებლივ უშვებდნენ ბიზანტიელ ვაჭრებს. ჩვეულებრივ, — განაგრძობს იგი, — ნისიბისში წარმოებდა დიპლომატიური მოლაპარაკებანი, ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები აქ აწერდნენ ხელს საზავო ხელშეკრულებებს (იხ. მისი, ირანის ქალაქები ადრე შუა საუკუნეებში, 1956, გვ. 51, რუს. ენაზე).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნისიბისის მეზობლად მდებარე ქალაქ ურჰას ჯუანშერი ძველი სახელით იხსენიებს. მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნისიბისის მიმართაც. ამ მხრივ საინტერესოა „ანონიმური სირიული ქრონიკა", რომელშიც სასანიანების ხანის ისტორიაა გადმოცემული. ქრონიკაში ნათქვამია, რომ „ნისიბისი, ესე იგი, მიგდონიის ანტიოქია, ასე იწოდება ამ ქალაქში არსებული ბაღებისა და პარკების გამო" (იხ. ქრონიკის ნ. პიგულევსკაიასეული რუსული თარგმანი. სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ჩანაწერები, 1939, ტ. VII, გვ. 65, რუს. ენაზე).

ნისიბისს სახელი „ანტიოქია" ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი სარდლის სელევკ I ნიკატორის (ძვ. წ. 358-280) მიერ აქვს შერქმეული. სელევკ I-მა თავის მიერ დაარსებულ დაახლ. 75 ქალაქიდან, მამის — ანტიოქეს პატივსაცემად 16 ქალაქს ანტიოქია უწოდა (აპიანე, სირიის საქმეები, 57). ერთ-ერთი ამ ქალაქთაგანი იყო ანტიოქია მდ. მიგდონზე — ასე- იწოდებოდა ეს ქალაქი მაკედონელთა მფლობელობის ხანაში. სხვათა შორის, სახელი მიგდონიაც აზიაში მაკედონიიდან არის გადმოტანილი. მაკედონიაში თრაკიული მოდგმის მიგდონთა ტომებით დასახლებული მიგდონიის პროვინცია ქ. თერმით (შემდეგში თესალონიკა, ახლ. სალონიკი) სტრიმონის ყურის სანაპიროზე მდებარეობდა.

ჩრდ. შუამდინარეთში, მდ. ჰაბორის გაღმა მდებარე მიწებს განსაკუთრებული ნაყოფიერების გამო მაკედონელებმა მიგდონია უწოდეს.

ირან-ბიზანტიის სასაზღვრო ზონაში მდებარე ანტიოქია-ნისიბისი მნიშვნელოვან სავაჭრო და სტრატეგიულ გზებზე მდებარეობის გამო ჯერ სომხეთსა და რომს, შემდეგ ბიზანტიასა და ირანს შორის მუდმივი დავის ობიექტი იყო. რომაელებმა იგი აზიაში ლუკულუსის ლაშქრობათა დროს (ძვ. წ. 74-66) დაიპყრეს. ამის შემდეგ იგი ხელიდან-ხელში გადადიოდა. ლუციუს ვერას (161-169 წწ.) დროს რომაელებმა იგი მესამედ დაიბრუნეს, ძლიერ გაამაგრეს, რის შემდეგაც მიგდონიის პროვინციის ცენტრი გახდა.

ირანის წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერატორის — იულიანე განდგომილის (361-363 წწ.) მარცხიანი ლაშქრობის შემდეგ, რაც ბრძოლაში იულიანეს დაღუპვას მოჰყვა, იმპერატორად ახალარჩეულმა იობიანემ, ირანთან დადებული „სამარცხვინო ზავით" ნისიბისი ირანს დაუთმო. ამის შემდეგ იმპერიამ არაერთხელ სცადა ნისიბისის უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. იმპერატორ თეოდოსიუს II-სა (408-450 წწ.) და ირანის შაჰს ბაჰრამ V-ს (420-438 წწ.) შორის (421 ან 422) წელს დადებული ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფო კისრულობდა, რომ საზღვრის ახლოს ახალი ციხესიმაგრეები არ აეგოთ. ირანთან მდგომარეობის ოდნავი გამწვავებისთანავე, ბიზანტიელები მათ „პერსარმენიის დარბევითა და ნისიბისის გარეუბნების ძარცვით უპასუხებდნენ" (ი. კულაკოვსკი). საინტერესოა ისიც, რომ 502 წ. დაწყებული ირან-ბიზანტიის ომის ერთ-ერთი მიზეზი ნისიბისის მახლობლად ბიზანტიელთა მიერ დარას ციხესიმაგრის აგება გახდა. დარას აგება ბიზანტია-ირანს შორის ადრე დადებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. VII ს.-ის შუახანებიდან როგორც ქ. ნისიბისი, ისე მთელი სასანიანთა ირანი არაბი დამპყრობლების ხელში მოექცა. აი ასეთია მოკლედ ჯუანშერთან მოხსენიებული ანტიოქიის (ნისიბისის) ძველი ისტორია.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობთ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში" ქ. ანტიოქია ორი — სხვადასხვა ქალაქის სახელად რომ იხსენიება. შესაძლოა, ქრონიკის თავდაპირველ ტექსტში იყო მითითება ამ ქალაქთა ერთმანეთისაგან განსხვავებულად, მაგრამ, შემდეგში, საუკუნეთა განმავლობაში, როცა მიგდონიის ანტიოქიის შესახებ საქართველოში ცოდნა დავიწყებას მიეცა, ჯუანშერის თხზულების რედაქტორ-გადამწერმა მისთვის უცხო სახელი — მიგდონია ტექსტიდან ამოშალა, რის შედეგადაც, ტექსტის შინაარსი ამ ადგილზე საგრძნობლად დამახინჯდა და შინაარსიც შეიცვალა. მაგრამ, ანონიმურ სირიულ ქრონიკაში შემონახულმა მითითებამ, რომ ნისიბისი იგივე ანტიოქიაა, ახალი შინაარსი შესძინა ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილს. ძველი ქართველი ავტორის ცნობები ნისიბისი-ანტიოქიის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს ბიზანტიელი, სირიელი და სომეხი ავტორების ცნობებს ნისიბისის, როგორც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრისა და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქის შესახებ.

რაც მთავარია, ჯუანშერის აღნიშნული ცნობა კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია იმისა, რომ ჯუანშერი, როგორც ამას გასული საუკუნის დამლევს თ. ჟორდანია წერდა, ვახტანგის თანამედროვე და თავის მიერ მოთხრობილი ამბების თვითმხილველი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა







# 18 დეკემბერი, 1985 წელი

სალამოს პრეზიდიუმი. თავმჯდომარეობს გამოჩენილი
რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო

შოთა ნიშნიანიძე

ჯანსუღ ჩარკვიანი

რევაზ ამაშუკელი

ოთარ ჭელიძე

ხუტა გაგუა

ალექსანდრე მეჟიროვი

ვლადიმერ სოლოუხინი

ტიციან ტაბიძის ხსოვნის საღამო საკავშირო თეატრალურ საზოგადოებაში. (მარცხნიდან): მწერლები — თენგიზ ბუაჩიძე, ვლადიმერ ალფენიძე. ნინა ლოკშინა. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე.











## შიო მღვიმელის პრემიის ახალი ლაურეატები



# ნორჩი თაობის მეგობრები

საბავშვო ლიტერატურის განვითარების საშვილიშვილო საქმეში თავისი კეთილი წვლილი შეაქვს ქართული მწერლობის ყველა თაობას. ჩვენი სახელოვანი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს უძღვნიან პატარებს.

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის დაწესებულია შიო მღვიმელის სახელობის პრემია.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით გასულ წელს შიო მღვიმელის პრემია მიენიჭათ ცნობილ საბავშვო მწერლებს ნორჩი თაობის საყვარელ მეგობრებს **დოდო ვადაჭკორიას** და **ქეთევან ჭილაშვილს.**

დოდო ვადაჭკორიას პირველი საბავშვო წიგნი „უცნაური დედობილი" გამოიცა 1959 წელს. მას შემდეგ მწერალმა გამოაქვეყნა თავისი მოთხრობების 9 წიგნი, აგრეთვე თარგმნა და მკითხველს მიაწოდა აზერბაიჯანული მოთხრობები, „უკრაინული ზღაპრები", „შვედური ზღაპრები", გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის ვალერი მედვედევის პოპულარული ნაწარმოებები: „ვოვა ვესნუშკინი" და „ბარანკინის ოცდათექვსმეტი ფათერაკი".

დოდო ვადაჭკორია აქტიური საზოგადო მოღვაწეა. იგი ნაყოფიერად მუშაობს, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრი და საკავშირო მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის საბჭოს წევრი იბეჭდება და უახლოეს დროში რუსულ ენაზე გამოვა დოდო ვადაჭკორიას რჩეული საბავშვო მოთხრობების წიგნი (მოსკოვი, „დეტსკაია ლიტერატურა").

ქეთევან ჭილაშვილის პირველი საბავშვო მოთხრობა „დაძმა" 1951 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში". ამჟამად იგი 11 წიგნის ავტორია. მოსკოვში, რუსულ ენაზე, გამოცემულია მწერლის ორი წიგნი, აგრეთვე მისი წიგნი თარგმნილია და გამოცემული სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე.

ქეთევან ჭილაშვილმა ქართველ ბავშვებს გააცნო გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის ანატოლ ალექსინის ვრცელი მოთხრობა „მებუკენი და მესანგრენი", ვიეტნამური მოთხრობების კრებული „სანუს ტყე"... თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი პიესა „აცა-ბაცა". დღესაც იდგმება იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა", რომელიც პიესად გადააკეთა ქეთევან ჭილაშვილმა.

ქეთევან ჭილაშვილი 15 წლის განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის პასუხისმგებელი მდივანი.

სასიხარულოა, რომ დოდო ვადაჭკორია და ქეთევან ჭილაშვილი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურებიან თავიანთ საყვარელ საქმეს.

სულითა და გულით ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს ამ საპატიო პრემიის მინიჭებას და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

● ადამიანები ცდილობენ, რომ კალმის, საჭრეთლის ან მუსიკალური ინსტრუმენტის დახმარებით უკვდავებას ეზიარონ.

● ცხოვრება თანამიმდევრობით გვართმევს ახალგაზრდობას, ძალ-ღონეს, დასასრულ რწმენასაც. ახალგაზრდობას თან მისდევს ილუზიები, ძალ-ღონეს — სიმამაცე, რწმენას კი — სიცოცხლის წყურვილი. ამ დანაკარგების ანაზღაურება მხოლოდ შემოქმედებას შეუძლია. ის გვაძლევს თავისუფლებას, სიბრძნეს, გრძნობათა სიცხოველეს და ამით გვეხმარება ყოველივე არსებულის წარმავლობის დაძლევაში.

● ყველანი ერთნაირად ვევლინებით სააქაოს, ვცხოვრობთ, როგორც ხელგვეწიფება, და ვკვდებით, როგორც კი დრო მოვა.

● რაც უფრო მეტად ეუფლება ადამიანი თავისი აზრების გამოთქმის ხელოვნებას, მით უფრო რეალურია საშიშროება, რომ იგი თავის ნათქვამს თვითონვე დაიჯერებს.

● ვინც წერს, ყველა ჩივის, რომ მას არ კითხულობენ, ზერელედ ან მეტისმეტად მზაკვრულად კითხულობენ. პირველს სჯერა, რომ მისი თხზულებები მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს უნდა იწვევდეს, მეორე აშკარად გადაჭარბებით აფასებს თავისი ნიჭის თვითმყოფობას, მესამეს კი შიში იპყრობს, რომ მკითხველ საზოგადოებას ეჭვი ეპარება არა მარტო მისი ნაწარმოებების თვითმყოფობაში, არამედ თვით ავტორის წერის მართლზომიერებაშიც. აი რატომ გამოდის ყოველი ავტორი კრიტიკოსის როლშიც. და თუ, თანახმად ცნობილი აფორიზმისა, კრიტიკოსები ხელმოცარული პოეტები და მწერლები არიან, წარმატების მქონე მწერლები და პოეტები კრიტიკოსები ხდებიან მაშინ, როდესაც სინდისის ხმა ეხშობათ და იმას იცავენ, რაშიც ყველაზე ნაკლებად არიან მართალნი.

● ნაცნობებს იმისთვისაც კი უნდა ვუმადლოდეთ, რომ ცუდ საქმეს არ გვიკეთებენ.

● ინტერესი გრძნობებსაც უხელს თვალებს.

● ადამიანები ტყუილს მიმართავენ მაშინ, როდესაც ფაქტებს არ ეყრდნობიან. უდავო მტკიცებით ჩიხში მომწყვდეულები ცდილობენ, რომ ფაქტები მონაჩმახად გაასაღონ. თავის დროზე იეზუიტებმა პასკალი შეაჩვენეს. ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ „პროვინციული წერილების" ზეგავლენის წინაშე და „აღშფოთებულთა" სახელით საჯაროდ დაესხნენ თავს მათ ავტორს. ამ საბაბით პასკალი წერდა: „თქვენ საბუთების უქონლობის გამო მღვდელს იშველიებთ". შეეცადნენ ჩემს იძულებას, რომ უარი მეთქვა კრიტიკაზე, მეკითხებოდნენ, ისეთი რა წიგნები დაწერე, რომ აღიარებულ ავტორთა ნაწარმოებებში ნაკლოვანებების პოვნის უფლება გქონდესო. ამან ანეკდოტი გამახსენა გრაფ კასტრიზე, სტენდალთან ამოკითხული: ჰელვეციუსი საზოგადოებრივ წყობას უგუნურად

## ივან სლავოვი

ივან სლავოვი სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. დაიბადა 1928 წელს. ბევრი დრო შესწირა ფილოსოფიური და ესთეტიკური პრობლემატიკის გამოკვლევას (წიგნები: „მარქსის ესთეტიკური მემკვიდრეობა. კომპლექსური პრობლემა“, „კიტჩი“, „ირონია“. როგორც მოდერნიზმის სტრუქტურის ელემენტი“, „კრიტიკული რეზონანსი“). მის ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, როგორიცაა ირონია, კიტჩი, პარადოქსი, საზოგადოებრივი და სულიერი სფეროს უარყოფითი მოვლენები.

გადმობეჭდილია ბულგარეთის ჟურნალ „ობზორიდან“.

18205

მიიჩნევდა. ეს რომ გრაფმა კასტრიმ გაიგო, აღშფოთებით თქვა: „როგორ ბედავს ასეთი საკითხის განსჯას ის, ვისი წლიური შემოსავალიც ხუთიათას ეკიუსაც კი არ შეადგენს?!“

● ბავშვობაში მარიგებდნენ: „ისა თქვი, რასაც ფიქრობ“. ჭაბუკობისას ჩამაგონებდნენ: „იფიქრე, შემდეგ კი ილაპარაკე“. ახლა მაფრთხილებენ: „იფიქრე, ვიდრე მოიფიქრებდე“.

● „უფრო მაღლა“ — ყოველთვის როდი ნიშნავს „ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს მისვლას“.

● სიყვარული რელიგიასა ჰგავს — მისთვის დამახასიათებელია კერპთაყვანისმცემლობა და ურწმუნოება.

● წიგნი ადასტურებს ავტორის თეზისს — ენა და აზროვნება სრულიადაც არ შეესიტყვებიან ერთმანეთს.

● ბანალური ჭეშმარიტება ენის სილარიბის შესახებ ყოველთვის აქტუალურია.

● ადამიანებს ჰგონიათ, თითქოს მათი აზრები აღემატებიან მათსავე გამომხატველ სიტყვებს. აზრების სილარიბეს ყველაზე იოლად ენის ნაკლოვანება ფარავს.

● ასაკი არ გამოდგება მეცნიერული ავტორიტეტის საზომად. ამით აიხსნება ახირებულობა, მაგრამ არა საოცრება, რასაც გონება ქმნის.

● თავისუფლების შეზღუდვა შიშისაგან, ვაითუ იგი ბოროტად გამოიყენონო, თავისუფლების მიმართ შიშით ჩადენილი ბოროტმოქმედებაა.

● პოლ ელიუარი ირონიით ლაპარაკობს კრიტიკოსზე, რომელიც თითქოს იძულებით უკეთებს სათვალეს იმ ადამიანს, ვისაც მხატვარმა ახლებურად დაანახვა სამყარო. კრიტიკოსს უფლება აქვს, რომ სათვალე მისცეს მხოლოდ ახლომხედველს. ის ვალდებულია, გააფართოოს ხილული სამყაროს მხედველობის საზღვრები.

● „ცეზარიზმი“ პოლიტიკაში პრეტენზიას აცხადებს ყოვლისმცოდნეობაზე კულტურაში. ნერონმა თავისი თავი ყველა დროის უდიდეს მხატვრად გამოაცხადა.

● დუმილი საქები თვისებაა, როდესაც ამის საფუძველი არსებობს.

● გამბედაობა გამორიცხავს არა სიფრთხილეს, არამედ სულმოკლეობას.

● საუბარი ტელეფონით: „დამიწერ ორ დღეში რეცენზიას?“ — „რომელ წიგნზე“? — „ხვალ გნახავ და გეტყვი“. — „კეთილი!“

## „დროშის“ ვერნისაჟის ძვირფასი სტუმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშობლიური წიგნის მოამაგე

● ქართველ გრაფიკოს მხატვართა ოჯახს ბოლო წლებში მრავალი ნიჭიერი და საინტერესო შემოქმედი შეემატა. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ დაზგურ გრაფიკაში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება. რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ მოვლენათა განვითარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და თავისი წვლილი შეიტანა ქართველმა ახალგაზრდობამ. მათ შორის ხალასი ნიჭით და თვითმყოფადი სტილით გამოირჩევა გურამ ღლონტი.

ვინც დაინტერესებულია ქართული დაზგური გრაფიკის სამომავლო საქმით, თვალყურს ადევნებს მისი განვითარების გზებს, უთუოდ გამოარჩევს გურამ ღლონტის ახლებურად დანახულ, მისებურად აღქმულ და საინტერესო მხატვრული ხერხებით გადმოტანილ გრაფიკულ ფურცლებს.

გურამ ღლონტს შემთხვევით არ აურჩევია თავისი მომავალი პროფესია — მხატვრობა. მისდამი ინტერესი, სიყვარული, მოკრძალება და ერთგულება მას ბავშვობის წლებიდან მოჰყვება. აკვირდებოდა და სწავლობდა ყოველივეს, რაც იმდროინდელ ქართულ მხატვრობაში იქმნებოდა. იგი ერთ პერიოდში სპორტითაც იყო გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავისი მოწოდების გზას, მხატვრობას გაჰყვა. ამ გზამ იგი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მიიყვანა.

გურამ ღლონტი იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სათუთად ეპყრობიან და პატივსა სცემენ ყოველივეს, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არის დაკავშირებული. აქ აიდგა მან ფეხი და აქ ჩამოყალიბდა როგორც თავისებური ხელწერის მქონე გრაფიკოსი. იგი ყოველთვის მადლიერების გრძნობით იხსენებს და პატივს სცემს თავის აღმზრდელ პედაგოგებს, განსაკუთრებული სითბოთი კი გამოჩენილ ქართველ გრაფიკოს-მხატვარს ლადო გრიგოლიას, ადამიანს, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო ქართული წიგნის მხატვრობის განვითარების საქმეს.

გურამ ღლონტი მრავალი წელია თანამშრომლობს სხვადასხვა გამომცემლობასთან. დღეს იგი გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი მხატვარ-რედაქტორია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი საინტერესო წიგნი გაფორმდა და მიიღო ჩვენმა მკითხველმა.

გურამ ღლონტი მაძიებელი ხასიათის შემოქმედია. მისი გრაფიკული სერიები მუდამ იწვევს ფართო საზოგადოების დიდ ინტერესს. მონაწილეობს მრავალ რესპუბლიკურ თუ საკავშირო მნიშვნელობის, აგრეთვე საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში.

გურამ ღლონტი რამდენიმე წლის წინ მოსკოვში გამართული საკავშირო ახალგაზრდული გამოფენის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა. მანაც სხვებთან ერთად ასახელა ჩვენი რესპუბლიკა, მხატვართა კავშირი. მას დაუფასდა შრომა, დღეს გურამ ღლონტს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.

გ. ღლონტი თანამედროვე ქართული დაზგური გრაფიკის საიმედო ძალაა. მას ჯერ კიდევ რთული და საინტერესო აღმავალი გზა აქვს გასავლელი. მხტვართა საზოგადოება დიდი იმედით შესცქერის მის მომავალ შემოქმედებით წარმატებებს. ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილი ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები მხოლოდ მცირედი ნაწილია მისი საინტერესო შემოქმედებისა. გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ისინი ნაწილობრივ მაინც შეუქმნიან ნათელ და ჭეშმარიტ წარმოდგენას, ჟურნალ „დროშის“ მკაცრ, მომთხოვნ და ერთგულ მკითხველს, ამ საინტერესო შემოქმედის პიროვნებაზე.

**მამია ახობაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ბუნების ტრფიალი

1985 წლის ჟურნალ „დროშის“ მე-12 ნომრის გარეკანზე და ჩანართში დაიბეჭდა მიხეილ ხვიტიას ფერწერული ნამუშევრები. მხატვარმა ათეული წლების განმავლობაში დაძაბული შრომითა და ხალასი ნიჭით მიაღწია აღიარებას, დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს. და აი, თითქოს შეუმჩნევლად გაილია ექვსი ათეული წელი...

ერთი წლისაც არ იყო მიშა, როცა მამით დაობლდა და მისი მეურვეობა მამიდამ ითავა. მამიდამისზე ამბობენ, რომ ერთობ განათლებული და ენამახვილი ქალი იყოო. ბავშვს იმთავითვე შეაყვარა სიკეთისადმი ლტოლვა, კეთილშობილებისადმი პატივისცემა, მშვენიერების თაყვანისცემა. ყმაწვილს კი არ უშლიდა მთელი დღით ბუნებაში დაკარგვას, საათობით მდინარის პირას ჯდომას, ფეხშიშველა სიარულს, ცისფერი მთებისა და მის ირგვლივ გაშლილი მეგრული სანახებით ტკბობას. ყოველივე ეს ნელ-ნელა, თანდათანობით მკვიდრდებოდა ყმაწვილის ხასიათში, გარკვეულ ადგილს იკავებდა მის გულსა თუ სულში. აი, სწორედ ამან განაპირობა მისი ჩამოსვლა თბილისში. მალე იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ყველა პედაგოგი გრძნობდა, რომ მიშა მხატვრად იყო დაბადებული და რომ ეს პროფესია მისი ჭეშმარიტი მოწოდება იყო. როგორც კი სამხატვრო აკადემიაში რეპინის სახელობის სტიპენდია დაარსდა, მისი პირველი მფლობელი მიშა ხვიტია გახდა.

როგორც ვიცით, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ოქტომბრიდან იწყება მეცადინეობა. მიშა თითქმის ყოველთვის რამდენიმე კვირით გვიან ჩამოდიოდა. როცა დაგვიანების მიზეზს ეკითხებოდნენ, ყმაწვილი მორიდებით უპასუხებდა, რომ იგი ვერ ტოვებდა შემოდგომის ლამაზ პეიზაჟებს, რომლითაც ასე უხვად იყო დაჯილდოებული ქართული მიწა, კერძოდ კი ზუგდიდი და მისი შემოგარენი. ერთხელაც (ომის პერიოდი გახლდათ), მიშას ძალზე დააგვიანდა ჩამოსვლა. გამოირკვა, რომ აკადემიაში შექმნილა სხვადასხვა სახელოსნოები გამოჩენილი პედაგოგების ხელმძღვანელობით. პეიზაჟისტების სახელოსნოს ხელმძღვანელად დაენიშნათ ცნობილი მხატვარი, პროფესორი სანდრო ციმაკურიძე. მიშამ ეს სახელოსნო აირჩია და აკი ბოლომდე მისი ერთგულიც დარჩა.

1948 წელს მიშა ხვიტიამ წარჩინებით დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სრული კურსი. სადიპლომო შრომად ჰქონდა ფართოპლანიანი პეიზაჟი სახელწოდებით „კოლხეთის ამოშრობა“. ერთი წლის შემდეგ ასპირანტურაში შედის და უჩა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დღითიდღე ეუფლება პეიზაჟის საიდუმლოებასა და მის ხიბლს. 1949 წელს პირველად გამოდის საზოგადოების სამჯავროზე. გამოფენა სტალინის დაბადების 90-ე წლისთავს ეძღვნებოდა. მიშა ხვიტიას მიერ შესრულებულმა პეიზაჟმა მაშინვე მიიპყრო ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება და არაერთმა უწინასწარმეტყველა ჭეშმარიტი მხატვრის საუკეთესო მომავალი. მისი ჭეშმარიტი ნიჭიერება იმითაც მტკიცდება, რომ თორმეტი წლის მანძილზე (1958-1970 წწ). იგი დიდი სიყვარულით ხელმძღვანელობდა ფერწერის სექციას. არაერთხელ ყოფილა ამა თუ იმ სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე თუ წევრი, ხოლო 1961 წელს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა. მიშა არაერთგზის ყოფილა რესპუბლიკური, საკავშირო თუ საზღვარგარეთული გამოფენების მონაწილე. მხატვრის ნამუშევრები დაცულია როგორც ჩვენი რესპუბლიკის მუზეუმებსა და გალერეებში, ასევე მოსკოვის სამხატვრო საცავებში.

მიშა ხვიტია, რომ იტყვიან, ბუნების ლირიკოსი მხატვარია. ყოველი ხე, ბუჩქი, მდინარე, გორაკი თუ სხვა რამ, მისთვის მხოლოდ საგანს კი არ წარმოადგენს, არამედ ყოველი მათგანი სიცოცხლისუნარიანი რამ გახლავთ და მათს ავსა თუ კარგს ადამიანის გასაჭირივით აღიქვამს. განსაკუთრებით უყვარს პატარა მდინარეები. იშვიათია მისი პეიზაჟი, რომელზედაც მდინარის ანარეკლი მაინც არ მოჩანდეს. პატარა მდინარეები, ღელეები, ნაკადულები მხატვარს თითქოს დაჩაგრულებად ეჩვენება. ამიტომაც შეძლებისდაგვარად ხარკს უხდის მათ.

მიშა ხვიტია, რომ იტყვიან, ბუნების ტრფიალია. იგი რამდენჯერმე უბრუნდება ერთსა და იმავე მოტივს. ეს იმიტომ, რომ მისი შემოქმედება მუდამ ახლის ძიებით იყოს გაჟღენთილი, რომ მის ნახატებში შტამპმა, ერთფეროვნებამ არ დაიდოს ბინა და მის მიერ შექმნილ სურათებში მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდეს ჭეშმარიტი პეიზაჟისტის სული, მისი სიყვარული, მისი განწყობილება. ჩვენს წინაშეა: „სუროები“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „გომბორის გზებზე“ და სხვა. თითოეულ მათგანში ვხედავთ მხატვრის კდემამოსილ დამოკიდებულებას აღებული მოტივისადმი. სწორედ ესაა, რომ ცხოვრებისეული სიმართლით ავსებს მის სურათებს და ყოველ მათგანში აშკარად ვგრძნობთ შემოქმედის ნათელ, ჯანსაღ, პოეტურ სუნთქვას.

მიშა ხვიტიას შემოქმედებით ხელწერისათვის კიდევ ერთი რამაა დამახასიათებელი. იგი ცდილობს, რომ თავის ნამუშევრებში შეინარჩუნოს აკვარელის გამჭვირვალობა და ზეთის ფერების სიმკვრივე. ეს იოლი საქმე როდია. ამას მართლაც რომ ოსტატობა სჭირდება და მიშაც დიდი რუდუნებით, დიდი შინაგანი ექსპრესიით ქმნის ასეთ ტილოებს („ეტიუდი“, ჯიხაშკარი“, „საფარა“, „კაცხის სვეტი“).


ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თვალს კარგად გადავავლებთ მიშა ხვიტიას ნაწარმოებებს, შევნიშნავთ, რომ მათი უმრავლესობა ან ღრუბლიან დღესაა შექმნილი ან არა და წვიმიან ამინდში. ასეთ დროს უფრო მეტად მოქნილი, უფრო მეტად კოლორიტულია მისი კომპოზიციები. მხატვარი ღია მონაცრისფრო ტონების ტრფიალია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „წვიმიანი ამინდი აჭარაში“. ეს ნაწარმოები ძალზე განწყობილებიანი სურათია. წინა პლანზე ვხედავთ თითქოს უპატრონობით გამხმარ ვერხვის ხეს, ამას მოჰყვება ჩაის პლანტაციები. შემდეგ ეს მონაცრისფრო-მომწვანო კოლორიტი თანდათან გადადის უკანა პლანზე მუქი ლილისფერი მთის ტონში და ჩვენ წინაშე საერთო ფერში მტკიცედ შეკრული სურათი აიზიდება. ამ ხასიათში გადაწყვეტილ ნამუშევრებს მიეკუთნება „ბაკურიანი“, „გვიანი შემოდგომა სამეგრელოში“, „ღრუბლიანი დღე“, „ლურჯი ევკალიპტები“.

მიშა ხვიტიას ტილოებზე მაღალმხატვრულად აისახა საქართველოს სხვადასხვა კუთხე. მისი მომხიბვლელი ფუნჯის წყალობით ფერწერულ სიცოცხლეს ეზიარა „იმერეთი“, „ვარძია,“ „ურბნისი“, „ძველი თბილისი“, „მეჩეთის ხედით“, „ქობულეთის მიდამოები“, „არაგვის ხეობა“... ერთადერთი სვანეთის მხარე არ უნახავს და ამაზე პატარა ბავშვისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით ამბობს: „სვანეთს ისე ვინახავ, როგორც კარგ წასაკითხ წიგნს“. ჩვენც, მისი ხელოვნების თაყვანისმცემელნი, მოუთმენლად ველით ამ ახალ სერიას მიშა ხვიტიას შემოქმედებაში. დარწმუნებულები ვართ, რომ კვლავ ახალი, შემოქმედებითად საინტერესო ნაწარმოებების მხილველნი ვიქნებით.

**ნაზი ელიაშვილი**

* * *

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია გულითადი პატივისცემით ულოცავს გამოჩენილ ქართველ მხატვარს, მშობლიური პეიზაჟის დიდოსტატს მიხეილ ხვიტიას დაბადების 60 წლისთავს და უსურვებს ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობარო!

# ბედი თვითმფრინავისა

**ვიქტორ ივანენკო**

მოთხრობა

ის გასული შემოდგომიდან იდგა ასაფრენი მოედნის ბოლოში. წინათ მთელი მისი გვარეულობა აქ იყო თავმოყრილი, მასავით მკაცრად, ზევით აწეული წამახული ცხვირებით და ყოველ მათგანს კაცი მორიგეობდა.

შემოდგომა ავდრიანი დაიჭირა. ერთთავად ქუმურტლი და წვიმა-წუწწუხი იდგა. არც ზამთარი იყო უკეთესი. მხოლოდ გაზაფხულის მზემ დააცხუნა რიგიანად და იონჯამაც მთელ მოედანზე ერთბაშად იფეთქა.

ეულად მდგარი თვითმფრინავი — წინათ მოთეთრო-ცისფრად რომ ბზინავდა, დილის ბინდბუნდში რუხ-ნაცრისფრად გამოიყურებოდა, ყველასაგან მიტოვებული, თვით რუბცოვისგანაც კი მივიწყებული. მზე-წვიმაზე თანდათან გახუნდა, აიქერცლა, ბოლოს კი თითქოს მარტოობის შიშმა დაზაფრაო, გაჭაღარავდა.

თუ პასპორტში ნამსახურობის ნუსხას ჩახედავდით, იგი იაკ-მესამე იყო, გამანადგურებელი თვითმფრინავი, 1943 წელში გამოშვებული, დიდი სამამულო ომის მონაწილე. ჰქონდა ჭრილობები, მაგრამ რუბცოვის მადლით არც ისე მძიმე. რუბცოვს რაღაც უტყუარი ალღო ჰქონდა. მტერთან შეტაკებისას იგი ისე დაატრიალებდა იაკს, ისე მარჯვედ და დროულად დაუქროლებდა და გასცილდებოდა მოწინააღმდეგეს, რომ თავგზას უბნევდა. ამიტომაც მათი ცეცხლის ტრასები თითქმის ყოველთვის გვერდზე რჩებოდა. როგორ არა, მომხდარა, რომ წამოუდვიათ კიდეც, მაგრამ, საბედნიეროდ, სასიკვდილოდ არა.

რუბცოვი თავს ევლებოდა, უფრთხილდებოდა. უამინდობისას თავისი ხელით გადააცმევდა ხოლმე წყალგაუმტარ შალითას და ამას აკეთებდა სულ ახლახან, ჯერ კიდევ შემოდგომის დადგომისას. მერე კი... მერე... ასაფრენი მოედნის საპირისპირო მხარეს სხვანაირი თვითმფრინავები გამოჩნდნენ და აი, თურმე ამასაც კი უნდა მოელოდეს კაცი, იმათ მოაჯადოეს რუბცოვი. ისე მიატოვა ერთგული თანამებრძოლი — სანახავადაც აღარ მოსულა. წინათ განუყრელი მეგობრები იყვნენ. სად აღარ დააყიალებდა. ერთად მოიარეს დუნია, ბალკანეთიდან კურილის კუნძულებამდე. ამ ხეტიალში რანაირ თვითმფრინავს არ შეხვედრია, მაგრამ ასეთებს, მილისნაირებს, დაბალ, მკვეთრად უკან გაზიდულ წამახულ ფრთიანებს, უხრახნოებს, მამლის ბოლოსავით აფშეკილ მაღალ კუდიანებს — პირველად ხედავდა. და სიცილი რომ შესძლებოდა, მათ უსახურობაზე, ალბათ, გაეცინებოდა. ესენი „ფეთხუმები იყვნენ — თვითმფრინავები კი არა“ — გაიცინებდა იაკი რუბცოვზეც, — „მაგანაც ნახა რაღა გულის ვარდები“.

ერთხელ იაკთან ვიღაც კაცი მივიდა. ეტყობოდა, მფრინავი იყო. ჯერ გარშემო უტრიალა, მოტორსა და სალონში ჩახედა, ძველმანების შემსყიდველის გულგრილობით ათვალიერებდა. ბოლო წაყვანა დაუპირა. სად ან რისთვის — გაუგებარი იყო. როგორც ჩანდა, იქ უპირებდა წაყვანას, სადაც მან უკვე გააცილა იაკის ძმაკაცები... იმ სადგომზე, საიდანაც უკან აღარავინ დაბრუნებულა.

რუბცოვი ახლაც კი არ მოვიდა. იაკს გული გახეთქვაზე ჰქონდა. უცნობმა მფრინავმა სტარტერი ჩართო, მოტორი კვნესით აძაგძაგდა, აცხიკინა, აცხიკინა და ჩაქრა. მფრინავმა ხელი ჩაიქნია და წავიდა, მაგრამ ჩქარა სხვები მოვიდნენ. მათ ყოველგვარი თავაზის გარეშე მოხსნეს ქვემეხები, მტერს რომ თავზარს სცემდა. მოხსნეს რაცია, რითაც მეგობრებს უკავშირდებოდა და ბორტის საათები, მისი შრომისა და სიცოცხლის ჟამგამოვლილობას რომ ითვლიდნენ. თანვე გაიყოლეს გახუნებული, მაგრამ ჯერ ისევ გამტკიცული შალითა, მზე-წვიმისაგან რომ იფარავდა. აი, შემოდგომის იმ დღიდან აიქერცლა და გაჭაღარავდა იაკი. ამიტომაც გამოიყურება ახლა ლანდივით საკომანდო პუნქტიდან მოშორებული, მიყურსებულ ძველ სადგომზე. ერთი შეხედვით მიწის პირას მოლივლივე ველის არწივი გეგონებათ, ცაში ნავარდის თავი რომ აღარა აქვს. თუმცა, თვითონ, ასე თუ ისე, იმედს არ კარგავდა, ფიქრობდა, კიდევ დაუდგებოდა ისეთი დრო, როგორიც იმ ცხელ ზაფხულს, კურსკის სტეპებში, კაპონირში, განგაშის სიგნალზე მუდამ ცაში ასაფრენად რომ იყო შემართული. ასე ეგონა: ატყდებოდა თუ არა საკომანდო პუნქტზე ბრძოლის ყიჟინა, კვლავაც ხრახნების ღმუილით ხარბად შეიწოვდა სტეპის ჰაერს, გადაიბერტყავდა მხრებიდან მტვერს და ბრძოლის ჟინით აძაგძაგებული კვლავ ავარდებოდა ცაში მტრებთან შესაბმელად.

ეეჰ! სამწუხაროდ, უკვე ვეღარ მოსწყდება მიწას. იაკს გულს ის უფრო უკლავდა, რომ სხვა დროს ასე უბედურად არ გადაივლიდა მაინც. როგორ სხვა დროს? აეროდრომზე ამ ვერცხლისფერ ახალბედების გამოჩენამდე დაუძლურებულ იაკს დაშლიდნენ და ნაწილებად მაინც გამოიყენებდნენ. ახლა კი სალსალამათი უნდა გაწირონ. მისი ნაწილებიც აღარავის სჭირდება, თუნუქი თუ გამოადგება ვინმეს ოთახის ღუმელისათვის.

ერთ დილას, როცა ნამი ჯერაც არ ამშრალიყო და იონჯის ფოთოლსა და ყვავილებზე ბზინავდა, ცაში საამოდ გალობდნენ ტოროლები და ტყის თავზე განთიადის ნისლი იკრიფებოდა, იაკს მუხლუხების ღრჭიალით ვეება ტრაქტორი მიადგა. ტრაქტორისტი-ჯარისკაცი მაღალ ბაქანზე გადმოდგა. წაწვეტებული ნიკაპი და მეჩხერი ულვაშები ჰქონდა.

— ჰე, ყონაღ, მოემზადე! — გადმოსძახა მხიარულად. — მოემზადე, ამხანაგო იაკო. გესმის? მეთაურმა ბრძანა.

თვითმფრინავს რომ მოსმენა შეძლებოდა, მაშინვე მიხვდებოდა — მეთაური რუბცოვი იყო. რუბცოვმა ბრძანა. მაშინ აუცილებლად გაიფიქრებდა: შედავება ამაოა, მაშასადამე, ასე იყო საჭირო...

რუბცოვი, რუბცოვი...

ორმოცდაოთხის გაზაფხულზე, ზღვის თავზე გაცხარებულ საჰაერო ბრძოლაში ისა და რუბცოვი ჭურვის ნამსხვრევმა დაბალთა. თვითმფრინავს ცეცხლი მოედო, კვამლის ვეება კუდი გამოება. ზღვისკენ დაქანდნენ. რუბცოვი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ უბედურებამ ძალა მოაკრებინა, გაჭირვებით გადაწვა ჯავშანსაზურგზე და ამოილუღლუღა:

— იაკ, გასწი! გესმის, ძმაო, შინისაკენ გასწი!

გაოგნებული, მხედველობა დაკარგული თვალებით იყურებოდა დაბლა, ბორტის გადაღმა და მისუსტებული ხმით ისევ და ისევ იმეორებდა:

— გასწი, საყვარელო, არ შედრკე, ამაზე უარესებიც ხდება!

ამაზე უარესი მხოლოდ სიკვდილი შეიძლება ყოფილიყო. და ის უკვე აკაკუნებდა მოტორში. ცხელი, მწველი კვამლით გუდავდა მას. სიქა ეცლებოდა, თანდათან ზღვისკენ ეშვებოდნენ. როგორც იქნა, მიაღწიეს ნაპირს. წინ მზით განათებული სწორი ველი გამოჩნდა.

— იაკ, გასწი, ჩვენს ქვემოთ ყველა მზიანი ველი ჩვენი არ არის! — გაისმა მისი ბრძანება.

ისიც წამებით ასწევდა ცხვირს, ჰაერის ტალღას ლახლახით გადაევლებოდა, მერე ისევ დაქანდებოდა, ღონემიხდილი როგორღაც მოიკრებდა ძალას, შეიმაგრებდა თავს და ასე, ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, მიაღწია თავის აეროდრომს, როგორც რუბცოვმა უბრძანა.

...ვეება ტრაქტორი ტენიან მიწას შლიდა და ღრჭიალ-ხრიგინით უახლოვდებოდა იაკს, მაგრამ მოულოდნელად მოტოციკლეტით რუბცოვმა გადაუჭრა გზა.

— უკან ჩამოდექ, მამედოვ! — ჯარისკაცს ხელი გაუქნია, გადმოხტა მოტოციკლეტიდან. იაკს ხელი კილზე დაუტყაპუნა და ფრთაზე შეახტა. იაკი მომაკვდავივით აქანავდა მის ფეხქვეშ.

— ჰა, იაკ, ჩამოილოცე? — რუბცოვმა კაბინის შუბლის სქელ შუშაზე წკიპურტით ობობას ქსელი ჩამოწმინდა და წყნარად განაგრძო:

— აარა, იაკ, ამაზე უარესებიც ხდება. ყველაფერი მაშინ მორჩება, როცა კვალიც აღარ რჩება.

უშანგი რიჟინაშვილი

# ყიყლიყო

მოთხრობა

კიკალას პირველად გაიოზ ჩიტიშვილის ვაჟის, მამუკას, ქორწილზე ჩაუწყდა ხმა. მერედა, როგორ ეხვეწა გაიოზი კიკალას, არ დაგვაგვიანდესო, როგორც კი ჭიშკარში ქალაქელი სტუმრები შემოვლენ, ისეთი მრავალჟამიერი უნდა დააგუგუნო, ცას გრიალი გაჰქონდესო.

კოტე, ლევანი, იოსები, კაკო და იასონი კიკალას მხარში უდგნენ და მართლაც, ისეთი მრავალჟამიერი შემოსძახეს, თქვენი მოწონებული. ჰოდა, სტუმრებს მთლად დაავიწყდათ ახალდაქორწინებულები, ყველას თვალი კიკალას მისჩერებოდა, ყელზე სამკუთხოვანი ხვანჩი რომ აუდ-ჩაუდიოდა და თავი ვაცივით უკან გადაეგდო. ღვთაებრივი ბგერები ამოდიოდა მარტვისელი ბულბულის, გულფიცხი და ენაბიწი ღამის დარაჯის, კიკალას ბაგიდან. ვერავის გაეგო, რატომ მოეგუნება ღმერთს ამ ღრიალა კაცის ყელიდან ასეთი ტკბილი ხმა ამოერაკრაკებინა. კიკალასავით პირველი ხმა ალბათ არავის ჰქონდა. ამიტომაც იყო, მის სიმღერებს მაგნიტოფონზე იწერდნენ, კიკალა ტელევიზიის ხშირი სტუმარი იყო.

აბა, ქორწილს რა ქორწილი ეთქმის, თუკი ნამდვილ კახურ ღვინოს ცოცხალი ადამიანის ხმა არ შეენაცვლა. ჰოდა, ისე გამოდიოდა, კიკალა ყველა ქორწილზე უპირველესი სტუმარი გახლდათ. მაგრამ წინასწარ ვერავინ იტყოდა, სიმღერის დროს რა ოინი მოუხუშტურებდა. მერედა, ყველას ხომ არ დაუჯდებოდა ჭკუაში მთვრალი მარტვისელი ბულბულის ოინები. ზოგჯერ ისეთი ვაი-უშველებელი ატყდებოდა, სუფრაზე გამოტანილი ჭაჭის არაყი საფენების დასასველებლად არ ყოფნიდათ.

ისე გამოდის, კიკალასთან ვერაფერს გახდება კაცი, გინდა არ გინდა, უნდა მოუთმინო, არა და კიკალასთან ერთი უკუღმართად წამოსროლილი სიტყვა სათაბაშიროდ გაგიხდის საქმეს. ხელს თვითონ როდი გაილებს, კიკალას თავის დღეში არავისთვის შემოურტყამს, აბა, ბიჭი ხარ და ხელი ახლე, რამე დაუშავე, ანდა ჰკადრე, მარტვისელები სამუდამოდ დაგავიწყებენ მის ხმას...

ჰოდა, აი, ხმა ჩაუწყდა კიკალას გაიოზის პირმშოს მამუკას ქორწილზე. შავი ფერი დაედოთ სირცხვილისა და ჯავრისაგან მარტვისელებს. მაინც, რა სიმღერა გააფუჭა იმ დამთხვეულმა — „გაფრინდი, შაო მერცხალო" — სიმღერათა სიმღერა. ქალაქელი სტუმრები თითქოს ვერაფერს მიხვდნენ, იქნებ ეგონათ, ამ ადგილას ასე უნდა ემღერაო, მაგრამ მიხვდნენ თუ არ მიხვდნენ, კიკალა მართლა შეშინდა, მწარედ გაიღიმა, ჟღალი ულვაშის ქვეშ ტუჩები ჩაეტეტკა. ყველანი ანიშნებდნენ, მეტი აღარ იმღეროო, კიკალამ კი აილო და დიდი თასით ღვინო გადაუშვა სტომაქში, თითქოს ხმას თავს უქონავსო. შეიძლება მართლაც არაფერი მომხდარიყო, თამადას, რვაწლიანი სკოლის დირექტორს, გრიგოლს, ჩვენი სოფლის ბურჯისა და საძირკვლის — მამაპაპური ადათ-წესებისა და იმ ხალხის სადღეგრძელო არ დაელია, ვინც ამ ადათწესებს წმინდად ინახავს. მაშინ ფეხზე წამოდგა შეზარხოშებული კიკალა. დგას თავმომწონედ გვერდზე გადახრილი, აბა, შემომხედეთ, რა ბიჭიცა ვარ — სოფლის ბურჯი და საძირკველიო. დგას ისე ურცხვად, თითქოს ის არ იყო, აგერ ახლა, ყიყლიყო რომ გაუშვა. სადღეგრძელო სხვისი შეისვა, კიკალას კი თავისი ჰგონია. ქალაქელებმა ტაში დასცხეს. კიკალა მარცხნივ და მარჯვნივ იხდის მადლობას — ალბათ, ტელევიზორში ასწავლეს ასე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, შეჩვეული იყვნენ მარტვისელები. განა ასეთი რამ ჩაუდენია კიკალას! მერე მან სამადლობელი შესვა, ვაჟკაცურად მოიწმინდა ულვაში და „დაიგვიანეს" წამოიწყო. ცივი ოფლი დაასხა მარტვისელებს, დაიძაბნენ, გულში მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, ღმერთო, ჩამოსული სტუმრების წინაშე ნუ შეგვარცხვენო. ჰოდა, ღმერთმანი, სულაც არაფერი მოხდებოდა, რომ ღვინისაგან გათამამებულ ჩვენს ბულბულს არ მოესურვებინა — მოდი, ამ ხალხს ჩემი ხმის მთელი ძალა და სილამაზე ვაჩვენებო. აუწია ხმას, მაგრამ რა აუწია... ჰოდა, მაშინ გაუშვა „ყიყლიყო". ისეთი ყიყლიყო, მთელ მარტვისში ვერსად იპოვნი ისეთ მამალს, მსგავსი ყივილით შეჰგებებოდა დილას. ისეთი ყიყლიყო გამოვიდა, ისეთი ყიყლიყო, სტუმრებმა გაოცებისაგან პირი დაალეს. ხოლო შერცხვენილმა მარტვისელებმა, უკლებლივ ყველამ, თავი დახარეს. მაშინ კი შეცბა კიკალა, გალურჯდა, პირი ველარ დამუწა, იდგა ასე გახევებული, თითქოს თავზე ჩამოქცეულ ჭერს შესდგომიაო. მერე მკვეთრად შემოტრიალდა და კარისკენ თავ-პირის მტვრევით ისე გაიქცა, ლამის ბოძები წააქცია. მაშინ კი ახარხარდნენ სტუმრები, სულ ცრემლებსა ღვრიდნენ, მუცელი ხელით ეჭირათ, მარტვისელებს თანდათან დაუბრუნდათ ადამიანის ფერი, გაინძრ-გამოინძრნენ, გამოცოცხლდნენ, მაგრამ მათ უკურნებელ სადარდებელს აღარაფერი ეშველებოდა.

... იმ დღის შემდეგ კიკალას სიმღერებს მაგნიტოფონიდან ისმენდნენ და მის ძველ დიდებას იგონებდნენ.

რუსულიდან თარგმნა
გიორგი მაჭუტაძემ

ტრაქტორი მაყუჩიდან მსუბუქად ისროდა კვამლის მუქ რგოლებს. მისი გრუხუნი რუბცოვის ხმას ახშობდა. ჯარისკაცს მისი ნათქვამი არ ესმოდა. სამაგიეროდ, კარგად ხედავდა მეთაურს: ის იდგა ძველი თვითმფრინავის ფრთაზე ტუჩებმოკუმული და მუზარადისქვეშა ჩაჩით შუბლის ჯავშანმინას წმენდდა. ისიც კარგად დაინახა მერე, როგორ ჩამოხტა მიწაზე, შემოუარა ირგვლივ და მამაკაცური მოუხეშაობით ისევ როგორ დაუტყაპუნა ხელი კილზე.

„ეგებ დაავიწყდა კიდეც, რისთვის გამომგზავნა ძველ სადგომზე" — ჯარისკაცი ჩამოქვეითებულივით ქვეშ-ქვეშად ადევნებდა თვალს მეთაურის ყოველ ნაბიჯს, ამიტომაც ვერ გაიგო, როცა მოტოციკლეტთან მისვლისას რუბცოვმა ნაღვლიანად ჩაიბუტბუტა:

— მამედოვ, შეასრულე ბრძანება.

მამედოვი ისევ გაშტერებული იყურებოდა.

— შენ რა, დაყრუვდი? — რუბცოვმა კაბინაზე მუშტი დაუბრახუნა. — შეასრულე!

ტრაქტორმა ბრაზიანად ამოიტრახტრახა და თვითმფრინავისკენ წავიდა. რუბცოვს უცბად რაღაც გაახსენდა.

— შეჩერდი, მამედოვ! — ტრაქტორი შეაჩერა. მუხლუხებით დაგლესილი ტენიანი მიწა აილო და თვითმფრინავის ფერშეცვლილი ვარსკვლავები გულდაგულ გაწმინდა. მერე თითქოს გაბრაზებით ჩაიქნია ხელი.

— ახლა კი მიდი, მამედოვ! — მოტოციკლეტს გადააჯდა და მთელი სისწრაფით გავარდა ასაფრენ მოედანზე.

ჩქარა ბეტონის ასაფრენ ზოლზე დიდი ჩანჩქერის მსგავსი ხვივილით წყვილ-წყვილად გაიქროლეს ვერცხლისფერმა მიგებმა. მათ ლაღად გაინავარდეს ტყის თავზე, სოლისებურად განლაგდნენ და თვალის დახამხამებაში სტრატოსფეროში მიიმალნენ. იმაზე გაცილებით მაღლა, ვიდრე იაკები ასულან როდესმე. ორმოციოდე წუთის შემდეგ დაბრუნდნენ. აეროდრომს რომ მოუახლოვდნენ, მიგები ერთ მწკრივად განლაგდნენ, მცელავი ფრენით დაეშვნენ და სტვენით გადაუარეს ძველ სადგომს. ჯგუფს რუბცოვი მიუძღოდა. მან პირველმა დაინახა ძველ ადგილზე მდგარი იაკი. იგი გულმოკლული იყურებოდა სადღაც, ზემოთ, ხოლო წითელი ვარსკვლავები ახლა უფრო მკაფიოდ უციაგებდა.

— მამედოვი ჩემთან! — ბრძანა რუბცოვმა დაჯდომისთანავე, — დაუყოვნებლივ ჩემთან რიგითი მამედოვი!

ჯარისკაცი-ტრაქტორისტი ელოდა ამ გამოძახებას. იგი დაღონებული მივიდა მეთაურთან და წინ დამნაშავესავით აებუზა.

— რაშია საქმე, მამედოვ? — მკაცრად ჰკითხა რუბცოვმა.

ჯარისკაცმა თვალები დახარა. ჩაფიქრებით შეეჭმუხნა წარბები.

— ვერ შევძელი, ამხანაგო მეთაურო, ვერ შევძელი მოხუცის...

— მისმინე, მამედოვ, — ხმას დაუწია რუბცოვმა. — ის უკვე... როგორ აგიხსნა... მოკლედ, ის უკვე...

— ვიცი, ამხანაგო მეთაურო, — წელში გაიმართა ჯარისკაცი. გაუშვი, თვითონ წაიქცეს, როცა დრო მოუვა...

— თვითონ არ წაიქცევა! — ხმა ისევ გაუმკაცრდა რუბცოვს. — კარგად ვიცნობ იაკებს. შენ კი შეასრულე, რაც გიბრძანეს.

— არის, — ჯარისკაცი სწრაფად შეტრიალდა და გავიდა.

რუბცოვი სარკმელთან მივიდა. ერთხანს კუშტად გაჰყურებდა სტეპს, მერე თანდათან წარბები გაეხსნა და ქუთუთოებზე ორი მბზინავი ცრემლი გადმოუგორდა.

თარგმნა სოლომონ სამხარაულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოს ერთგული მსახური

ელისაბედ გარსევანიშვილი

დიდია ქართველი პედაგოგის, ისტორიის, ლიტერატურისა და პედაგოგიკის მკვლევარის, მთარგმნელის, რედაქტორ-გამომცემელის, თეატრალის, ქართული კულტურის მოჭირნახულის ალექსანდრე გარსევანიშვილის ღვაწლი.

ჯერ კიდევ თავის მშობლიურ ქალაქ გორში ყოფნისას, გიმნაზიაში შესვლამდე ესწრებოდა საოსტატო სემინარიის მოწაფეთა ლიტერატურულ შეკრებებს, არალეგალურ კრებებს, რომლებიც მის სახლში ეწყობოდა.

ალ. გარსევანიშვილის სახლი გორის ციხის ჩრდილოეთ კალთასთან იდგა. იგი დაშენებული იყო უძველესი პერიოდის სარდაფზე და ქალაქური ტიპის ქართულ ბანიან დარბაზზე. სარდაფი მარანს წარმოადგენდა და სამლოცველოს დანიშნულებასაც ასრულებდა.

ამ სახლიდან საიდუმლო ასასვლელები ადიოდა გორის ციხის ზღუდემდე. აქ იკრიბებოდნენ ხალხოსნები, პროგრესულად განწყობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: მიშო (მიხეილ ქაიხოსროს ძე) ყიფიანი, გოლა ჩიტაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ურბნელი (ხიზანიშვილი), ნიკო ლომოური, ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა), იოსებ დავითაშვილი, ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე და მრავალი სხვა (სამწუხაროდ, ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით 50-იან წლებში ეს სახლი დაანგრიეს).

საოჯახო განათლებითა და ზემოჩამოთვლილ პირებთან ურთიერთობით ალ. გარსევანიშვილს კარგად შეუსწავლია ქართული, რუსული, ბერძნული და ლათინური ენები.

1883 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, იმავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მოსკოვში სწავლის დროს გატაცებული იყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლით.

1888 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და იმავე წელს დაინიშნა ქუთაისის ქართულ პროგიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ორი წლის მანძილზე უფასოდ ასწავლიდა რუსულ და ქართულ ენასა და ლიტერატურას იმ ხანებში ქუთაისში დაარსებულ „საკვირაო სკოლაში". მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა", „ქალ-ვაჟთა წრე", რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევას. ამ წრემ დიდი ინტერესი გამოიწვია და დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ამას მოჰყვა პოლიციის რეპრესიები.

1892 წლიდან იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის, ამავე დროს ისტორიის მასწავლებელია; ჩვეული ენერგიითა და ხალისით შეუდგა საქმეს და მალე მოსწავლეთა დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

თბილისში გაიხსნა რამდენიმე საკვირაო სკოლა. ერთი ასეთი სკოლა ალექსანდრეს ჩააბარეს, ის იყო გამგეც და მასწავლებელიც. მალე კარგი მუშაობისათვის დააწინაურეს და 1897 წელს ქუთაისში გადაიყვანეს ქართული სკოლის გამგედ (შემდეგში ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა და იქვე დარჩა რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის მასწავლებლად).

ალექსანდრე გარსევანიშვილი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს საკუთარი სახსრებით აგზავნიდა რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად. მათ შორის იყვნენ: ცნობილი ენათმეცნიერი პროფესორი კარპეზ დონდუა და მისი ძმა — ისტორიკოსი, პროფესორი ვარლამ დონდუა (მათივე გადმოცემით).

ალექსანდრე გარსევანიშვილი ხელოვნების დიდი მოყვარული იყო, ჯერ თბილისის და შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში შემოიღო მუსიკის სწავლება. სანამ სპეციალისტს მოიწვევდნენ, თვითონ ასწავლიდა მუსიკას უფასოდ და შედეგიც შესამჩნევი ჰქონდათ. ალექსანდრე გარსევანიშვილი ქუთაისში თბილისის ქუჩაზე ცხოვრობდა, ექიმ ბ. მირაქოვის ბინაზე (1899-1921 წლები). აქ დაუახლოვდა დიდებულ ქართველ კომპოზიტორს — ზაქარია ფალიაშვილს. ალექსანდრე ვიოლინოზე უკრავდა. ზაქარია მას აკომპანემენტს უკეთებდა ფორტეპიანოზე და მართავდნენ „შინაურ კონცერტებს". ქუთაისში დაბრუნებული ალექსანდრე საზოგადოებრივ მუშაობაშიც კვლავინდებურად ჩაება. ის მოღვაწეობდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში, რომელიც 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ნაყოფი იყო. სახალხო უნივერსიტეტმა 1915 წლამდე იარსება და იგი ბოლომდე მისი ერთ-ერთი წამყვანი ლექტორი, მამოძრავებელი და სულისჩამდგმელი გახლდათ.

სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით დაარსდა პირველი სახალხო თეატრი ქუთაისში. ქუთაისის თეატრში ლადო მესხიშვილთან ერთად ალექსანდრე გარსევანიშვილმა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

ქართველი ხალხის ნანატრ ოცნებას — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ალექსანდრე სიხარულით შეეგება. ის სამუშაოდ გადავიდა თავისი მშობლიური ქალაქის — გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში. პარალელურად იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის განყოფილების თავმჯდომარე, წერდა პიესებს, აწყობდა ლექცია-საუბრებს ქართული მუსიკის, ლიტერატურისა და თეატრის ისტორიის საკითხებზე. თავისი მდიდარი გამოცდილებით, იშვიათი პედაგოგიური უნარითა და ხალისით ჩაება იგი ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

1923 წლიდან გორის მშრომელებს უფასოდ ემსახურებოდა სიმფონიური ორკესტრი ალექსანდრე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. ორკესტრი ამავე დროს ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებსაც ასრულებდა. საინტერესოა ისიც, რომ ვანო სარაჯიშვილს მუსიკის პირველი გაკვეთილები ალექსანდრე გარსევანიშვილისაგან მიუღია.

ალექსანდრე გარსევანიშვილი საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. სტუდენტობის დროს მან გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" დაბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის, დუტუ მეგრელის, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები. მის კალამს ეკუთვნის ქართულ და რუსულ პრესაში გაბნეული რამდენიმე კრიტიკული ეტიუდიც, როგორიც არის „ეკ. გაბაშვილის შემოქმედება", „დუტუ მეგრელი, როგორც ლირიკოსი", „მ. გარიყულის შემოქმედება", „გლეხი პოეტი ი. დავითაშვილი"... ალ. გარსევანიშვილის პედაგოგიური ხასიათის წერილებიდან აღსანიშნავია: „XIX საუკუნის საშუალო სკოლა ევროპასა და რუსეთში", „სახალხო სკოლა იაპონიაში", „სახალხო სკოლა და საგლეხო უნივერსიტეტები შვეცია-ნორვეგიაში", „საფეიქრო სკოლა ფინეთში", „სწავლა-განათლება შვეიცარიაში"... ალექსანდრე გარსევანიშვილი რამდენიმე წიგნის ავტორიც არის. ასე, მაგალითად „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია" 1915 წ., „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო", 1912 წ. მასვე ეკუთვნის „გმირი ქალი მაია, მათე ყაჩაღად წოდებული", „ჟორჟ სანდის ცხოვრება და მოღვაწეობა" და სხვა მრავალი.

სიკვდილის წინ ალექსანდრე გარსევანიშვილმა თავისი სახლი, ქონება, მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერძა თავისი მშობლიური ქალაქის — გორის მოსახლეობას, მის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. გარდაიცვალა 1936 წლის 27 მარტს, განისვენებს გორის სამოქალაქო სასაფლაოზე.

ასეთია მოკლედ ცხოვრება კაცისა, რომლის ნახევარსაუკუნოვანმა ღვაწლმა ცოტა როდი შემატა ქართულ კულტურას.

# რიონისპირელი ფალავანი

ჭყავის ქუთაისი. გაზაფხული, მოსძალებია იმერეთის უმშვენიერეს ქალაქს. ბალის კიდის თეთრ ქვაფენილს მივუყვებით მე და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ილია ბობოხიძე. მასპინძელი ხალისიანად მიამბობს აქაურ ფალავანთა პრობლემებზე, მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე, წარსულზე; შეუმჩნევლად ვუახლოვდებით თეთრ ხიდს, სადაც რიონი, რატომღაც მშვიდად მოედინება. აბანოსთავისაკენ ვაპარებ მზერას, ასე მგონია, გამოჩნდებიან მზისაგან გარუჯული ბიჭები, ხელიხელჩაკიდებული რომ ხტებიან მდინარეში.

— სად იყო, ბიძია, ჩემს დროს ჭიდაობის დარბაზი და სექცია. წყალში ხტომის შემდეგ, იქვე, ქვიშაზე ვცდიდით ძალას პატარები. ვინ კვანტი იცოდა, ვინ მოგვერდი. ერთი სიტყვით, ვისაც რაფერ შეეძლო, ისე ჭიდაობდა.

მოსაუბრე წამით ჩერდება და განაგრძობს:

—რამდენ ფალავანს აუდგამს ფეხი რიონის პირას და საქართველოს ფარგლებს გარეთ გაუტანია ქართული ჭიდაობის ნაირსახეობა — სარმა, კისრული, გარეკაური, მოგვერდი... ბევრი ცნობილი სპორტსმენი აღზარდა ჭიდაობის ქუთათურმა სკოლამ: შალვა ჩიხლაძე, გურამ გობეჯიშვილი, ვარლამ გიგიაძე, ძმები აზურ და ზაურ შეყრილაძეები, ბაქსან და როლერი ლეკვეიშვილები... რომელი ერთი ჩამოვთვალო,—განაგრძობს ჩემი მასპინძელი და ღიმილით ამთავრებს თავისსავე ნაამბობს.

— ისე, ქუთაისელებს ერთი მსოფლიოს ჩემპიონი კი უნდა გაგეზარდათ, —ვეუბნები ილია ბობოხიძეს.

მწვრთნელმა ეშმაკურად გადმომხედა და მითხრა:

— იცით, პირდაპირ გეტყვით, სულ ცოტა ხანს დამაცადეთ. მყავს ერთი მოჭიდავე, რომელიც მაგ ოცნებასაც შეუსრულებს ქართველ გულშემატკივრებს, ქუთაისში მსოფლიოს ჩემპიონად დაბრუნდება. თეიმურაზ აფხაზავაა ის ჭაბუკი, დაიმახსოვრეთ...

ეს საუბარი 11 წლის წინათ შედგა, სწორედ მაშინ, როცა თეიმურაზ აფხაზავამ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე გამოიჩინა თავი, მერე კი — 1975 წელს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა ქუთაისს დიდი სპორტული კარიერის ზღურბლთან იდგა ჭაბუკი. უშუალოდ მასზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გააგრძელებდა. აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ავაზად" წოდებული ფალავანი შეუპოვრად მიიწევდა წინ ახალ-ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. გულმოდგინედ ვადევნებდი თვალს მოჭიდავის ყოველ წარმატებას. მუდამ მახსოვდა მისი მწვრთნელის ი. ბობოხიძის იმედიანი სიტყვები.

ჭიდაობაში დიდი მწვერვალების დაპყრობას, თანდაყოლილი ნიჭის გარდა, ხომ ბევრი შრომა და ენერგიის გაღება სჭირდება. თეიმურაზი ურიგოდ როდი იბრძოდა ხალიჩაზე, მაგრამ საკმაოდ ძნელი გახდა მისთვის საბჭოთა ნაკრების მწვრთნელების ნდობისა და აღიარების მოპოვება. ბობოხიძის აღზრდილი ხშირად იმარჯვებდა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში, სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ასპარეზობდნენ, მაგრამ მისი „აქილევსის ქუსლი" საბჭოთა კავშირის პირველობა იყო: ქართველი ფალავანი ოქროს მედლის გარეშე რჩებოდა. ნავსი, როგორც იტყვიან 1983 წლის გაზაფხულზე გატყდა, როცა რიონისპირელმა მოჭიდავემ 28 წლის ასაკში პირველად მოიპოვა ოქროს მედალი 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მანამდე?

მანამდე კი საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადას გაგახსენებთ. კლასიკური სტილის ფალავანთა ტურნირი ცსკას მძლეოსნობისა და ფეხბურთის დახურულ მანეჟში ეწყობოდა. თეიმურაზი უკვე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებდა და მისი გაუთვალისწინებელი მარცხი 34 წლის მოსკოველ სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კორბანთან სრულიად უსაფუძვლო იყო.

გაოცებული იჩეჩავდა მხრებს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დ. დავითაია.

— რა დიდი ბედენაა მაგისათვის ბრინჯაოს მედალი, როცა სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული უნდა მოეპოვებინა — წუხდა ჩვენი გუნდის მესაჭე.

— აგერ ნახავთ, თუ სექტემბერში თეიმურაზმა კიევის მსოფლიო ჩემპიონატში არ დაიცვას საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება.

— მაგნაირ პატივს ჩვენი მწვრთნელები მხოლოდ ლეგენდარულ ფალავანს ავთანდილ ქორიძეს თუ მიაგებდნენ, — შენიშნა ჩემ გვერდით მდგომმა ჟურნალისტმა.

შემოდგომაც შეუმჩნევლად დადგა. საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა გ. საპუნოვმა კიევში საჭიდაოდ სწორედ ქუთაისელ ფალავანს უხმო. ასეთ ნდობას გამართლება ესაჭიროებოდა. ჩვენმა მოჭიდავემ მართლაც კლასიკურად წარმართა მსოფლიოს პირველობა და მეორედ გახდა პლანეტის საუკეთესო მოჭიდავე 82 კილოგრამ წონაში. ტელეეკრანზე კარგად იგრძნობოდა „ავაზის" ჭიდაობის სტილი — მოჩვენებითი სიმშვიდე, ფეთქებადი რეაქცია და უცილობელი წარმატება ჩოქბჯენში. აფხაზავა გამოცდილი ბუღალტერივით აგროვებს მოგებიან ქულებს. პრეს-კონფერენციაზე გენადი საპუნოვმა აღნიშნა: „თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია თავის წონაში. ასეთი საიმედო, ჭკვიანი მოჭიდავე იშვიათად თუ შემხვედრია".

1983 წელს საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ აფხაზავა რესპუბლიკის № 1 სპორტსმენად აღიარეს.

ჩინებულად დაიწყო მისთვის 1984 წელი. საქართველოს წარგზავნილმა ჯერ მინსკში გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში, ხოლო შემდეგ შვეციის ქალაქ იონჩოპინგისაკენ აიღო კურსი, სადაც ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა. საბჭოთა მოჭიდავის ძირითადი კონკურენტი აქ რუმინელი ი. დრაიკა იყო. მეტოქეები სხვადასხვა ქვეჯგუფში მოხვდნენ და ჭიდაობის სპეციალისტები მოელოდნენ, რომ ფინალში ისინი შეხვდებოდნენ ერთმანეთს. აფხაზავა დასკვნით ასპარეზობაში გავიდა, მაგრამ დრაიკამ საწადელ მიზანს ვერ მიაღწია. ფინალური ბრძოლა თეიმურაზმა ბულგარელ ბ. ბონჩევს მოუგო და ევროპის საუკეთესო ფალავანი გახდა. ისიც აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ შერკინებაში მან 10:0 დაამარცხა ბულგარელი მოჭიდავე.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენები რომ ზაფხულის ოლიმპიადაზე გამოსულიყვნენ, ოკეანისგაღმიდან სამშობლოში გამარჯვებულად აფხაზავა დაბრუნდებოდაო, რუმინელი — დრაიკა კი არა, — გვეუბნება ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, მსოფლიოს ოთხგზისა და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი რომან რურუა. მაინც რატომ არის იგი ასე ღრმად დარწმუნებული ზემონათქვამში? ცნობილი მოჭიდავე მტკიცედ ამბობს:

— თეიმურაზ აფხაზავა, ამჟამად თავისი სპორტული ფორმის ზენიტშია. მისი დამარცხება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. მის არსენალშია მდიდარი გამოცდილება, უზადო ტექნიკა, წინდახედულობა, გამჭრიახობა. გარდა ამისა, ნაკრებში იგი უყოყმანოდ იკავებს ლიდერის როლს.

საქართველოს სასიქადულო მოჭიდავე რომან რურუა ჩვენი ქვეყნის კლასიკური სტილის ფალავანთა ტრიუმფული გამოსვლის უშუალო მოწმე იყო ბუდაპეშტის სპორტის სასახლეში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში („მეგობრობა-84"), სადაც სხვებთან ერთად მორიგ გამარჯვებას მიაღწია თეიმურაზ აფხაზავამ. უნგრეთის დედაქალაქის საჭიდაო ხალიჩაზე იმ სოციალისტური ქვეყნების უძლიერესი ფალავნები გამოდიოდნენ, რომლებსაც ლოს-ანჯელესის XXIII ზაფხულის ოლიმპიური თამაშების უცილობელ გამარჯვებულთა შორის ასახელებდნენ. და რაოდენ სასიხარულოა, თეიმურაზ აფხაზავამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს იგი სწორუპოვარი ჩემპიონია თავის წონით კატეგორიაში.

ახლახან, 1985 წლის ნოემბერში ჩემი ნარკვევის გმირმა თეიმურაზ აფხაზავამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში მოწყობილი ჩვენი პლანეტის საუკეთესო ფალავანთა გუნდურ ტურნირში მან მსოფლიოს თასი დაისაკუთრა. ეჭვი არ მეპარება, რომ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ილია ბობოხიძისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ესტატე გოგლიჩიძის ჩინებული მოწაფე თეიმურაზ აფხაზავა მომავალ სპორტულ სეზონშიც გვასახელებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**შალვა ქირია,**
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რწყილების შემოსევა

ბერკშირის საგრაფოში ამას წინათ სამი დღით შეწყვიტა მუშაობა ბრიტანეთის ატომური კვლევის ცენტრმა.

გაფიცვა?

არა, მუშაობა რწყილების შემოსევამ შეაჩერა.

რწყილები საიდანღაც შეძვრნენ შენობაში, ხელსაყრელ ტემპერატურაზე სწრაფად გამრავლდნენ და ოთახებს მოედვნენ.

ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა. ბრიტანეთის ატომური კვლევის ცენტრში რწყილებს მუსრი გაავლეს.

## ღვინის გამტაცებლები

ყოველკვირეული გაზეთი „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტე“ იუწყება, რომ საფრანგეთის მეღვინეობის ცნობილ რაიონს ბორდოს მძარცველთა ბანდა შეესია.

მძარცველები ღვინოს იტაცებენ. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ თეთრი სამარკო ღვინო „შატო იკემსი“, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ყველაზე ძვირად ფასობს.

მძარცველებმა ბორდოს რაიონიდან მოკლე ხანში 50 000 ლიტრი სხვადასხვა სახის ძვირფასი ღვინო გაიტაცეს.

## „ჭკუა ვისწავლე“

ტეხასის შტატის ქალაქ კოპერფილში სასამართლომ 17 წლის მოსწავლე ა. ჰარსონს 6 საათით საღორეში პატიმრობა მიუსაჯა.

ა. ჰარსონი იმიტომ დასაჯეს, რომ ამერიკელ პოლიციელს—„მსუქანი ღორი“ უწოდა.

— ჭკუა ვისწავლე, — განაცხადა სასჯელის მოხდის შემდეგ ა. ჰარსონმა, — პოლიციელს ღორს აღარ დავუძახებ. ღორებთან ყოფნამ დამარწმუნა, რომ ისინი პოლიციელებზე მაღლა დგანან.

## ბიზნესი შედგა

რეკლამამ თავისი გააკეთა. ევროპის ბევრ ქვეყანაში უამრავი მომხმარებელი გაუჩნდა ახალ პრეპარატს, რომელიც სიგამხდრეს უწყობს ხელს.

პრეპარატის დეტალურმა ანალიზმა ნათელყო, რომ ფრანგი და შვეიცარიელი ფარმაცევტების მიერ ერთობლივად დამზადებული პრეპარატი სიგამხდრეს კი არა, ქონის დაგროვებას უწყობს ხელს.

ბიზნესი შედგა, სიგამხდრის პრეპარატის დამამზადებელმა ფირმებმა მაინც მოასწრეს, 10 მილიონი ფრანკი მოგება მიეღოთ.

## ერთ ჭერქვეშ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქალაქ შლადენის მკვიდრმა იურგენ ჰერბერტმა.

ჰერბერტმა, საგანგებო შუშის გალიაში, 90 დღე გაატარა 14 შხამიან გველთან ერთად.

„სპორტის“ ამ სახეობაში წინანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა შხამიან ქვეწარმავლებთან 68 დღე გაძლო.

## დღისით, მზისით

ეს ამბავი დილით მოხდა.

ლონდონის ერთ-ერთ ძველ ხიდს სამუშაო კომბინეზონებში გამოწყობილი მუშები მიადგნენ და ფილაქნის აყრა დაიწყეს.

ხიდის შეკეთება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

როცა პოლიცია გონს მოეგო, ყველაფერი დამთავრებული იყო. „მუშებმა“ ხიდის მოზრდილი მონაკვეთიდან ფილაქნები აყარეს, მანქანებში ჩატვირთეს და ალაჰმა უწყის, საით გააქანეს.

ძებნამ უშედეგოდ ჩაიარა. ხიდიდან აყრილი ძველისძველი ფილაქნის ასავალ-დასავალს ვეღარ მიაკვლიეს.

## ონკანი, ღვინო და სასამართლო

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ტრირის ერთ-ერთი რაიონის მობინადრეებმა ამას წინათ მოულოდნელი საჩუქარი მიიღეს.

დღისით, მზისით, ყოველგვარი ფარჯის და ხარჯის გაუღებლად, ონკანებიდან შამპანური ღვინო წამოწანწკარდა.

როგორც გამოირკვა, ქალაქის ღვინის ქარხნის ერთ-ერთი რეზერვუარის მილი, რომელშიც შამპანური მოედინებოდა, ხელოსნებმა შეცდომით შეუერთეს წყალსადენის ქსელს.

მობინადრეთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

ბოლომდე გახსნილი ონკანებიდან მხოლოდ ორიოდე საათი მოედინებოდა შამპანური ღვინო.

ქალაქ ტრირის წყალმომარაგების მესვეურებმა „წყლის შებღალვის“ მოტივით საჩივარი აღძრეს ღვინის ქარხნის მიმართ.

სასამართლომ საჩივარი უარყო. „შამპანური ღვინო არ ბღალავს წყალს!“ ასეთი იყო კანონის დამცველთა გადაწყვეტილება.

## მსოფლიოში ერთადერთი

ამერიკელმა ვინმე ჰასკელ კასლბერმა ედენესის შტატის ქალაქ ისტ-რიჯში გახსნა მაღაზია, რომელმაც მრავალი მომხმარებელი მიიზიდა.

მაღაზია კუბოებით ვაჭრობს.

კუბოებს, საგანგებო დაკვეთით, მხოლოდ შინაური ცხოველებისათვის ამზადებენ.

## მინდორი დაცარიელდა

აი როგორ ვითარებაში ჩაიარა ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში ამას წინათ ქალაქის პირველობაზე გამართულმა ფეხბურთის ფინალურმა მატჩმა:

თამაშის დამთავრებისთანავე პოლიციამ დააპატიმრა 74 გულშემატკივარი, მატჩის მონაწილე 24 ფეხბურთელი და მთავარი მსაჯი.

## პატიმარი ტელეფონის ჯიხურში

20 წლის ლონდონელი ქალიშვილი სიუ ჩერმენი ტელეფონის ჯიხურიდან 27 წუთი ესაუბრებოდა თავის რომელიღაც თაყვანისმცემელს.

როცა რიგში მდგომები აყაყანდნენ, სიუ ჩერმენი შებრუნდა და ზურგშექცეულმა გააგრძელა ტელეფონით საუბარი.

ძალა ერთობაშია. მოთმინებიდან გამოსულმა მოქალაქეებმა კუთხეში დაწყობილი ბეტონის ვეება ფილები მოზიდეს, ტელეფონის ჯიხურის კარს მიაწყვეს და ზედ ასეთი წერილი გააკრეს: „ამ უტიფარმა ქალიშვილმა რიგში 27 წუთი გვაყურყუტა. წყეულიმც იყოს, ვინც კარი გაუღოს“.

## კანონის დამცველნი

რიგითმა პოლიციელმა ფილადელფიის (აშშ) სასამართლოში მიიყვანეს პოლიციის ოთხი პატიმარი ოფიცერი.

კანონის დამცველ ოთხივე ოფიცერს მექრთამეობა ედებოდა ბრალად.

სასამართლოზე დამტკიცდა, რომ ოფიცრები ქრთამს იღებდნენ ქურდებისაგან, შულერებისაგან, მეძავებისაგან, კონტრაბანდისტებისაგან, რიგითი პოლიციელებისაგან....

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „დროშის“

# 1985 წლის ლაურეატები



ალექსი არგუნი



ლამარა თელია



ვარლამ კეშელავა



დავით კვიცარიძე



ენვერ ნიჟარაძე



ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით ჟურნალ „დროშის“ პრემიით აღინიშნა 1985 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შემდეგი ნაწარმოებები: მწერალ ალექსი არგუნის ნოველა „ვარშაული აფხიარცა“ (№ 11); ჟურნალისტ ლამარა თელიას ინტერვიუ „არის ანგარიში მაღალ სართულებით“ (№ 10); პროფესორ ვარლამ კეშელავას წერილი „დაჩქარების მარშრუტებით (№ 11), მწერალ დავით კვიცარიძის მოთხრობა „ბებერი ცაცხვის სიკვდილი (№ 5); პოეტ ენვერ ნიჟარაძის „პოემა სვანეთზე“ (№ 10); ჟურნალისტ ტრისტან ჩინჩილაკაშვილის ნარკვევები: „შეხვედრა ლაიფციგის პროცესის გმირთან“, „საბჭოთა კავშირის გმირები“, „ერმალოზ კობერიძე და მისი თანამემამულენი“, „ყორყი გერგაიას გმირობა“ (№ 2, № 5, № 6, № 10); მწერალ თამაზ ხმალაძის მოთხრობები: „სადღეგრძელო“. „ორნი ღუმელთან“ (№ 2, № 4).



თამაზ ხმალაძე


გარეკანის პირველ გვერდზე: პატარა მეკვლე. მეოთხე გვერდზე: ყვავილი თოვლზე.

ფოტოები ბონდო დვალიშვილის.

კორექტორი ცისანა სიჟინავა

მონტაჟი ნანული დანელიასი

გადაეცა წარმოებას 29. 11. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 01. 86. უე 04520. ქაღალდ.-ს ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 48.000. შეკვ. 2840. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.



რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



671/17
ეროვნული
ბიბლიოთეკა